14. გოლფის მოედნის და პროფესიული მომსახურების საფასური.....	21
15. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი.....	22
16. სხვა ხარჯები.....	22
17. საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა.....	22
18. რისკის მართვა.....	27
19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.....	28
20. სამართლიანი ღირებულების შეფასება.....	30
21. პირობითი ვალდებულებები.....	30
22. ბალანსის შემდგომი მოვლენები.....	30



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს პრიმერა გოლფ ენდ რეზიდენც -ს აქციონერებს და ხელმძღვანელობას

დასკვნა

ჩვენ აუდიტორად შევამოწმეთ შპს პრიმერა გოლფ ენდ რეზიდენც (შემდგომში წოდებული - კომპანია) სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებები, რომლებიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადის სახსრების მოძრაობის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებებს დასრულებული წლისათვის, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებების განმარტებით შენიშვნებს, მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის შეჯამებას.

ჩვენი აზრით, კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ყველა არსებითი თვალსაზრისით მომზადებულია მომზადების საფუძვლის შესაბამისად, როგორც ეს განსაზღვრულია შენიშვნაში 2.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ საერთაშორისო აუდიტური სტანდარტების ("ასს - ISAs") შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა აღნიშნული სტანდარტების შესაბამისად აღწერილია დასკვნის ნაწილში - აუდიტორის პასუხისმგებლობები სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსის ("IESBA კოდექსი") მოთხოვნების შესაბამისად რომელიც ეხება საქართველოში ფინანსური ანგარიშგებების აუდიტს, და ამასთანავე შევასრულეთ ჩვენი ეთიკური პასუხისმგებლობები აღნიშნული მოთხოვნების და IESBA კოდექსის შესაბამისად.

ჩვენი რწმენით ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტური მტკიცებულება საკმარისი და შესაფერისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები - მომზადების საფუძველი

გვსურს ყურადღება გავამახვილოთ 2 შენიშვნაზე, სადაც განმარტებულია ის ფაქტი, თუ რატომ არ მოიცავს ფინანსური ანგარიშგებები წინა პერიოდის შესადარი ინფორმაციის გარეშე ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების სრულ პაკეტს. ჩვენი დასკვნა არ არის მოდიფიცირებული აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობები სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაზე 2 შენიშვნაში მითითებული მომზადების საფუძველის შესაბამისად, კომპანიის ფასს-ზე გადასვლის ფარგლებში, და ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების უნარი, მასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებით და საქმიანობის უწყვეტობის სააღრიცხვო პრინციპის გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ხელმძღვანელობა აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას ან ამ ქმედების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა არ გააჩნია.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობები სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორის დასკვნის, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლებელია წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალკე ან ერთობლივად საკმარისი მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ ინფორმაციის ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე.



აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად, აუდიტის ფარგლებში ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთანავე ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტურ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტურ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და მიზანშეწონილია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულებელყოფას.
- ვიღებთ ინფორმაციას აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების შესახებ, რათა დავგვემოთ არსებული ვითარების შესაბამისი აუდიტური პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვხატოთ კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობაზე.
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას.
- გამოვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ საქმიანობის უწყვეტობის აღრიცხვის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტური მტკიცებულებების საფუძველზე დასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებთან და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლებელია ექვსი ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი უწყვეტად განაგრძოს ფუნქციონირება. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღება უნდა გავაძახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შეცვალთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი დასკვნების შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტურ მტკიცებულებებს. ამასთან მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, სამართლიანად წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფარგლებში საწარმოების ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობებზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებებზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტი მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია აუდიტის პარტნიორი.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

7 დეკემბერი 2018



შპს პრიმერა გოლფ ენდ რეზიდენც

ფინანსური მდგომარეობის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი / ევროში)

		31 დეკემბერი 2017		1 იანვარი 2017	
	შენიშვნა	ლარი	ევრო	ლარი	ევრო
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	5	314,769	101,395	41,526	14,863
საინვესტიციო ქონება	6	48,017,772	15,467,650	24,405,847	8,735,092
არამატერიალური აქტივები		43,574	14,036	8,524	3,051
სულ გრძელვადიანი აქტივები		48,376,115	15,583,081	24,455,897	8,753,006
მიმდინარე აქტივები					
მარაგები	7	2,884,666	929,219	1,522,701	544,990
წინასწარ გადახდილი ავანსები	8	2,217,275	714,236	268,849	96,224
მიმდინარე საგადასახადო აქტივი	9	1,252,869	403,578	1,225,083	438,469
ფული და ფულის ექვივალენტები	10	644,809	207,708	53,672	19,210
სულ მიმდინარე აქტივები		6,999,619	2,254,741	3,070,305	1,098,893
სულ აქტივები		55,375,734	17,837,822	27,526,202	9,851,899

საკუთარი კაპიტალი და

ვალდებულებები

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	11	500	217	500	217
აკუმულირებული ზარალი		(25,324,083)	(9,363,903)	(12,293,333)	(4,762,974)
საკურსო სხვაობა			1,206,366		363,032
სულ საკუთარი კაპიტალი		(25,323,583)	(8,157,320)	(12,292,833)	(4,399,725)

გრძელვადიანი ვალდებულებები

სესხები	12	79,708,473	25,675,967	37,684,859	13,487,781
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		79,708,473	25,675,967	37,684,859	13,487,781

მიმდინარე ვალდებულებები

დავალიანებები სამშენებლო და		990,844	319,175	2,134,176	763,843
სხვა საქმიანობებისთვის	13	990,844	319,175	2,134,176	763,843
სულ მიმდინარე ვალდებულებები		990,844	319,175	2,134,176	763,843
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		55,375,734	17,837,822	27,526,202	9,851,899

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებები დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 7 დეკემბერს და ხელმოწერილია მისი სახელით შემდეგი პირების მიერ.


დირექტორი

ალექსანდრე კალინინი

დირექტორი

ანასტასია უდალოვა

9 - 30 გვერდებზე წარმოდგენილი თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.





		2017	
	შენიშვნა	ლ ა რ ი	ევრო
გოლფის მოედნის მომსახურების საფასური	14	(1,315,254)	(464,393)
პროფესიული მომსახურების საფასური	14	(905,851)	(319,840)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	15	(647,279)	(228,543)
სხვა ხარჯები	16	(151,236)	(53,399)
საგადასახადო ხარჯი მოგების გადასახადის გარდა	17	(1,266,419)	(447,150)
ზარალი ოპერაციებიდან		(4,286,039)	(1,513,325)
საპროცენტო ხარჯი	12	(1,447,409)	(511,055)
საკუროსო სხვაობით გამოწვეული ზარალი, წმინდა		(7,297,302)	(2,576,549)
ზარალი დაბეგვრამდე		(13,030,750)	(4,600,929)
მოგების გადასახადის ხარჯი			
ზარალი წლის განმავლობაში		(13,030,750)	(4,600,929)
სხვა სრული შემოსავალი			
საკუროსო სხვაობები უცხოურ ვალუტაში		843,334	
გადაცვლისას			
სულ სხვა სრული შემოსავალი		-	843,334
სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში		(13,030,750)	(3,757,595)

9 - 30 გვერდებზე წარმოდგენილი თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.



შპს პრიმერა გოლფ ენდ რეზიდენც

კაპიტალში ცვლილებების საეციალური დანიშნულების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ლარში/ევროში) (ლარში/ევროში)

ლარი	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ
1 იანვარი 2017	500	(12,293,333)	(12,292,833)
სულ მთლიანი ზარალი წლის განმავლობაში	-	(13,030,750)	(13,030,750)
31 დეკემბერი 2017	500	(25,324,083)	(25,323,583)

ევრო	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებულ ი ზარალი	საკურსო სხვაობა უცხოურ ვალუტაში გადაცვლისას	სულ
1 იანვარი 2017	217 (4,762,974)	363,032	(4,399,725)	
ზარალი წლის განმავლობაში	-	(4,600,929)	-	(4,600,929)
საკურსო სხვაობა	-	-	843,334	843,334
31 დეკემბერი 2017	217 (9,363,903)	1,206,366	(8,157,320)	

9 - 30 გვერდებზე წარმოდგენილი თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს



შპს პრიმერა გოლფ ენდ რეზიდენც
ფულადი სახსრების მოძრაობის სპეციალური დანიშნულების
ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარში/ევროში)



		2017	
		ლარი	ევრო
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან:			
ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე		(13,030,750)	(4,600,929)
შესწორებები:			
ცვთა და ამორტიზაცია	16	14,766	5,214
ფინანსური ხარჯი	12	1,447,409	511,055
საკუროს სხვაობით გამოწვეული წმინდა ზარალი		7,297,302	2,576,549
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობებიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებების განხორციელებამდე		(4,271,273)	(1,508,111)
მოძრაობა სამუშაო კაპიტალში			
ზრდა წინასწარ გადახდილ ავანსებში		(1,948,426)	(618,012)
ზრდა მარაგებში		(1,093,535)	(289,451)
კლება / (ზრდა) წინასწარ გადახდილ გადასახადებში		(27,786)	34,891
კრედ. დავალიანებების ზრდა სამშენებლო და სხვა საქმიანობებისთვის		(1,115,310)	(508,300)
წმინდა ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობებიდან		(8,456,330)	(2,888,983)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან :			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		5	(284,640)
საინვესტიციო ქონების შესყიდვა		6	(18,099,646)
არმატერიალური აქტივების შესყიდვა		(38,419)	(13,138)
წმინდა ფულადი ნაკადების გადინება საინვესტიციო საქმიანობებიდან		(18,422,705)	(6,504,306)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან :			
შემოსავლები სასესხო სახსრებიდან		12	27,736,974
წმინდა ფულადი ნაკადების გადინება ფინანსური საქმიანობებიდან		27,736,974	9,675,990
ფულის და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა		857,939	282,701
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		10	53,672
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულზე და ფულის ექვივალენტებზე		(266,802)	(94,203)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		10	644,809
		207,708	

9 - 30 გვერდებზე წარმოდგენილი თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს პრიმერა გოლფ ენდ რეზიდენც (შემდგომში წოდებული „კომპანია“) დაფუძნდა 2014 წლის 31 ოქტომბერს. კომპანიის მთავარი საქმიანობაა საკუთრების (გოლფის მოედანი) იჯარით გაცემა და საკომისიო შემოსავლის მიღება. დამატებით კომპანია აპირებს თავისი საკუთრების ნაწილი მიყიდოს გოლფის მოედნის ახლოს საცხოვრებლის მესაკუთრეებს. 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს დაწყებული თავისი ძირითადი საქმიანობები.

2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას ფლობდა შპს Ou Skinest Air (12668192, ესტონეთი, 90%) და პედრო ლუის პასტორი (405066529, საქართველო). კომპანიის საბოლოო მაცონტროლებელი მხარე არის ოლეგ ოსინოვსკი.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ძველი თბილისი, თავისუფლების მოედანი N4, საქართველო.

კომპანიის დირექტორები არიან ალექსანდრე კალინინი (71 6538722, რუსეთი) და ანასტასია უდალოვა. (LV5723504, ესტონეთი).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიღების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას ხელმძღვანელობამ გამოიყენა თავისი ცოდნა სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტების და გარემოებების, ისევე როგორც სააღრიცხვო პოლიტიკების სფეროში, რომლებიც გამოყენებული იქნება როდესაც კომპანია მოამზადებს თავის ფასს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პირველ სრულ პაკეტს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

იმის გამო, რომ კომპანია იღებს ფასს-ს მომდევნო ფინანსურ წელს წინა პერიოდის შედარებითი მაჩვენებლები არ არის წარმოდგენილი თანდართულ სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებებში და სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნებში. შესაბამისად, წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებები არ წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების სრულ პაკეტს.

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) კლასიფიკაციის, აღიარების და შეფასების პროცესების საფუძველზე, როგორც განსაზღვრულია 3 შენიშვნაში. წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას 2017 წლით დასრულებული წლისათვის და სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნებს.

ეს არის კომპანიის მიერ მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგებები. ამ სახით, ფასს სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ არ განახორციელა კორექტირებები.

კომპანია აწარმოებს ჩანაწერებს და ამზადებს სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებებს ლარში (ლარი), როგორც მოითხოვს საქართველოს კანონმდებლობა.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

თანხები სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებების მიღებულ ფასს მომზადება მოითხოვს კონკრეტული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას.





მოითხოვს ხელმძღვანელობამ მიიღოს გადაწყვეტილება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას. სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და გადაწყვეტილებები განხორციელდა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას და მათი ზემოქმედებები მითითებულია 4 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა თავდაპირველი ღირებულების პრინციპის საფუძველზე.

არსებობსი პერსპექტივა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანიას აქვს არსებობის პერსპექტივა და გააგრძელებს თავის საქმიანობებს მომავალში. ხელმძღვანელობას და აქციონერს სურთ დამატებით განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობის მოსაზრებით უწყვეტი საქმიანობის პრინციპი შეესაბამება კომპანიას.



3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა შესაბამისად გამოიყენება ყველა პერიოდისთვის, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ვალუტის გაცვლა**ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა**

ფინანსური ანგარიშგებებში ერთეულები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტის გამოყენებით, რომელშიც აღნიშნული საწარმო ოპერირებს ('ფუნქციონალური ვალუტა' - ლარი) ასევე წარსადგენ ვალუტაში - ევროში.

ბ) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში ოპერაციები გადაყვანილია ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციების ან შეფასების თარიღებზე მოქმედი გაცვლითი კურსის მიხედვით. დადებითი და უარყოფითი საკურსო სხვაობა, რომელიც გამოწვეულია აღნიშნული ოპერაციების ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების წლის ბოლოს გაცვლითი კურსით გადაყვანისას, აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. არაფულადი ერთეულები, რომლებიც შეფასებულია თავდაპირველი ღირებულების საფუძველზე უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. დადებითი და უარყოფითი საკურსო სხვაობები, რომელიც უკავშირდება ფულად ერთეულებს წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში „საკურსო (ზარალი)/ შემოსავლის, წმინდა“ ფარგლებში.

კომპანია იყენებს შესაბამისი ანგარიშგების პერიოდის საშუალო გაცვლით კურსს არსებულ ოპერაციებზე წარსადგენ ვალუტაში.

საკურსო სხვაობა, რომელიც წარმოიქმნება განმეორებით გამოთვლის შედეგად წარსადგენ ვალუტაში (ევროში) წარმოდგენილია სხვა სრულ შემოსავალში, როგორც „საკურსო სხვაობები უცხოურ ვალუტაში გადაცვლისას“.

2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, უცხოურ ვალუტაში ნაშთების გადაყვანისას გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2017	01.01.2017
ლარი/1 აშშ დოლარი	2.5922	2.6468
ლარი/1 ევრო	3.1044	2.7940
ლარი/1 ევრო (საშუალო)	2.8322	

ფინანსური ინსტრუმენტები**ფინანსური აქტივები**

კომპანია ყველა თავისი ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას ახდენს სესხებად და მოთხოვნებად. კომპანია განსაზღვრავს თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

(ა) სესხები და მოთხოვნები

აღნიშნული აქტივები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული ბაზარზე. ისინი თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით პლუს საოპერაციო ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მათ შეძენას ან გაცემას და შემდგომ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.

გაუფასურების რეზერვი აღიარდება როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (როგორცაა მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები კონტრაგენტის მხრიდან ან დეფოლტის საფრთხის მნიშვნელოვანი დაგვიანებები), რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა გადასახდელი თანხის შესრულებას.

3





ასეთი რეზერვის თანხა არის სხვაობა წმინდა საბალანსო ღირებულებას და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დაკავშირებულია გაუფასურებულ დავალიანებებთან. იმ დავალიანებებთან დაკავშირებით, რომელიც ასახულია, როგორც წმინდა, ასეთი რეზერვები აღირიცხება ცალკე შეფასებული რეზერვის ანგარიშში ზარალთან ერთად, რომელიც აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. როდესაც დავალიანება ითვლება უიმედოდ, ის ჩამოიწერება რეზერვის ანგარიშზე ფინანსური აქტივებისთვის და ზარალის ოდენობა აღიარდება მოგება / ზარალში. მანამდე ჩამოწერილი თანხების ანაზღაურება შეტანილია მოგებაში ან ზარალში.



3. მნიშვნელოვანი საღირცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: (ა) აქტივები დაიფარება ან აქტივებიდან ფულად ნაკადებზე უფლებების ვადა ამოიწურება ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან ფულად ნაკადებზე უფლებებს ან გააფორმებს გადაცემის ხელშეკრულებას, (i) და ასევე გადასცემს ამ აქტივების ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს ან (ii) არც გადასცემს და არც იტოვებს ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, მაგრამ არ შეინარჩუნა კონტროლი. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიყიდოს აქტივი მთლიანად დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების დაკისრების გარეშე.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების ჩათვლის იურიდიულად დაცული უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების დაფარვის განზრახვა.

კომპანიის სესხები და მოთხოვნები მოიცავს სხვა დავალიანებებს და ფულს და ფულის ექვივალენტებს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს მიმდინარე ანგარიშებზე.

კომპანიას არ გააჩნია გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, ვადამდე ფლობილი ინვესტიციები და ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია ახდენს ორი კატეგორიიდან ერთ კატეგორიად, რაც დამოკიდებულია ასეთი ვალდებულების შეძენის მიზანზე. კომპანიის საღირცხვო პოლიტიკა თითოეულ კატეგორიასთან დაკავშირებით არის შემდეგი:

(ა) სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში

ფინანსური ვალდებულება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში არის ფინანსური ვალდებულება, რომელიც აკმაყოფილებს რომელიმე ქვემოთ მითითებულ პირობებს:

(ა) კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ ფლობილი

(ბ) თავდაპირველი აღიარების შემდეგ განისაზღვრება საწარმოს მიერ, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. კომპანიას არ აქვს ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

(ბბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს და სასესხო სახსრებს, რომლებიც თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები / არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები / არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, აკუმულირებული ცვეთის / ამორტიზაციის და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით, მოთხოვნის შემთხვევაში. ძირითადი საშუალებების / არამატერიალური აქტივების თავდაპირველი ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს და ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის იმ ლოკაციამდე და მდგომარეობაში მოყვანასთან რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ შეძლოს ოპერირება. შემდგომი ხარჯები შეტანილია აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია, როგორც ცალკე აქტივი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელი იქნება მომავალი ეკონომიკური სარგებელის შემოღება კომპანიაში და თვითღირებულების სარწმუნოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების და რემონტის ხარჯები აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსურ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ცვეთა / ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის საშუალებით, მათი ხარჯის ან გაუფასურებული თანხების განაწილებისთვის მათ ნარჩენ ღირებულებამდე მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. ცვეთა / ამორტიზაცია ირიცხება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში. ცვეთა / ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის საფუძველზე შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადებით:

სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)

ჯგუფი

არ ექვემდებარება ცვეთას

მიწა	10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
სხვა	10
არამატერიალური აქტივი	



შპს PRIMERA GOLF AND RESIDENCE LLC

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარში/ევროში)

(ლარში/ევროში)

ღირებულება, გუდვილის გარდა, რომელიც უკავშირდება გაუფასურების ზარალის შებრუნებას, არ უნდა აღემატებოდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა (ცვეთის გარეშე) თუ გაუფასურების ზარალი არ იქნებოდა აღიარებული ამ აქტივისთვის წინა წლებში. გაუფასურების ზარალი შებრუნება აქტივისთვის, გუდვილის გარდა, დაუყოვნებლივ აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.



3. მნიშვნელოვანი საღრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულების ან წმინდა სარეალიზაციო ღირებულებიდან უმცირესით. მარაგების ღირებულება მოიცავს მარაგების შეძენისა და ადგილზე მიტანისა და არსებულ მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს. მარაგების შეძენის ხარჯები მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლებს და სხვა გადასახადებს (მათ გარდა, რომლებიც ანაზღაურებას ექვემდებარება კომპანიის მიერ საგადასახადო ორგანოებიდან) და ტრანსპორტირების, დამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მზა საქონლის, მასალის და მომსახურებების შეძენას. სავაჭრო ფასდაკლებები, შეღავათები და სხვა მსგავსი კომპონენტები იქვითება შესყიდვის ღირებულების განსაზღვრისას.

წმინდა რეალიზებადი ღირებულება წარმოადგენს შეფასებულ გასაყიდ ფასს საქმიანობის ჩვეულებრივ რეჟიმში, რომელსაც აკლდება დასრულების შეფასებული ხარჯები და გაყიდვის განხორციელებისთვის საჭირო შეფასებული ხარჯები.

მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს მიწას და მიმდინარე სამუშაოებს (მათ შორის სახლებს მოცემული ტერიტორიის მომავალი მაცხოვრებლებისთვის).

ფინანსური ხარჯი

პროცენტი ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ზუსტად ახდენს შეფასებული მომავალი ფულადი გადახდების ან შემოსავლების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მომსახურების ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას, კომპანია აფასებს ფულად ნაკადებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობის გათვალისწინებით. გამოთვლა მოიცავს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა მოსაკრებელს, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების ხარჯების და ყველა პრემიის ან ფასდაკლების განუყოფელ ნაწილს.

საერთო და კონკრეტული სასესხო ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება საკვალიფიკაციო აქტივის შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, კაპიტალიზდება დროის იმ პერიოდში, რომელიც საჭიროა აქტივის მოსამზადებლად დანიშნულების მიხედვით გამოყენების ან გაყიდვისთვის. საკვალიფიკაციო აქტივები არის აქტივები, რომლებსაც სჭირდებათ დროის არსებითი პერიოდი დანიშნულების მიხედვით გამოყენების ან გაყიდვისთვის მოსამზადებლად. საინვესტიციო შემოსავალი, რომელიც მიიღება სასესხო სახსრების დროებითი ინვესტიციის შედეგად მათი დახარჯვის მომენტამდე საკვალიფიკაციო აქტივზე, იქვითება კაპიტალიზაციისთვის შესაფერისი სასესხო ხარჯებიდან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

მიმდინარე მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი ეფუძნება დაბეგვრად მოგებას წლის განმავლობაში. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგების ანგარიშგებაში აღრიცხული მოგებისგან, რადგან არ მოიცავს სხვა წლებში დასაბეგრ ან დასაქვითი ხარჯის ან შემოსავლის კომპონენტებს და ასევე არ მოიცავს იმ კომპონენტებს, რომლებიც არასოდეს არ ექვემდებარება დაბეგვრას ან დაქვითვას. კომპანიის მიმდინარე გადასახადზე გამოითვლება საანგარიშო პერიოდის ბოლოს მიღებული ან დაბეგვრის მიღებული საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით.



(ლარში/ევროში)

კორპორატიული მოგების გადასახადის ახალი მოდელი (მოგების გადასახადი) ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან. დაბეგვრის ამ მოდელის მიზანია საგადასახადო სისტემის გამარტივება, ბიზნესის განვითარების და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა. კორპორატიული მოგების გადასახადის ახალი მოდელით გათვალისწინებული მთავარი ცვლილება არის კორპორატიული მოგების დაბეგვრის გადავადება წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს გაზრდის სახსრების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს იმავე ან ახალ საქმიანობებში გამომუშავებული მოგების განმეორებით ინვესტიციას. კორპორატიული მოგების საგადასახადო განაკვეთი რჩება იგივე, კერძოდ - 15%, ტექნიკური თვალსაზრისით დასაბეგრი ობიექტის თანხაზე გამოიყენება 15%/85% განაკვეთი. ამასთან, წლიური გადასახადის ნაცვლად კორპორატიული მოგების გადასახადი დაერიცხება ყოველთვიურად, მომდევნო თვის არაუგვიანეს მე-15 დღეს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კორპორატიული მოგების გადასახადის ახალი მოდელის შესაბამისად, დაბეგვრის ობიექტებს წარმოადგენს შემდეგი ოპერაციები / ფაქტორები გადახდები:

- დივიდენდების გადახდა
- სხვაობები საკონტრაქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის.
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- უფასო მიწოდება და საჩუქრები.
- წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტებს ზემოთ

გადასახადები მოგების გადასახადის გარდა

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარებულია როდესაც ადგილი ექნება სავალდებულო მოვლენებს. სავალდებულო მოვლენები წარმოშობს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია აქტივებად.

საოპერაციო იჯარა

იჯარები კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარებად, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს საკუთრების არსებითად ყველა რისკის და სარგებელის გადაცემას მოიჯარისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარებად.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადახდები აღიარებულია ხარჯად წრფივი მეთოდის საფუძველზე იჯარის ვადაში, თუ სხვა მეთოდი უკეთ ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებელის მიღების დროის ნაკადს. პირობითი საიჯარო გადასახადები, რომელიც წარმოიქმნება საოპერაციო იჯარებიდან, აღიარებულია მათი გაწევის პერიოდში.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა არ არის მოსალოდნელი.

პირობითი აქტივები არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებებში, თუმცა ინფორმაცია მათ შესახებ გამჟღავნებულია, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებელის შემოძინება. ეკონომიკური სარგებელის დანამდვილებით შემოძინების შემთხვევაში, აქტივი და დაკავშირებული შემოსავალი აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ პერიოდში, როდესაც შეფასების ცვლილება განხორციელდება.

ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

ა) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან.

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას, რომელიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ, მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე, არცერთ ცვლილებას ან შესწორებას სტანდარტებში, რომლებიც ძალაშია მოცემული თარიღიდან მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ცვლილებები ბას 7-ში ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება - გამჟღავნების ინფორმაცია



აღნიშნული ცვლილებები მოითხოვს საწარმოებმა წარმოადგინონ ინფორმაცია ფინანსური საქმიანობებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებში ცვლილებების შესახებ, მათ შორის ფულადი ნაკადებიდან წარმოქმნილი ცვლილებების და არაფულადი ცვლილებების შესახებ. კომპანიამ აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგინა მიმდინარე პერიოდისთვის შენიშვნაში 12.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული.

გამოცემული კონკრეტული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომელიც სავალდებულოა წლიური პერიოდებისთვის, რომლის ათვლა 2018 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ იწყება და რომელიც კომპანიამ ვადამდე არ მიიღო. გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების ჩამონათვალი, რომელიც კომპანიის გონივრული მოლოდინით გამოყენებული იქნება მომავალში, მიღებული იქნება მათი ძალაში შესვლის შემდეგ:



3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფასს 15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.

2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც საწარმოებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს. ეს სტანდარტი ძალაშია წლიური პერიოდებში, რომლის ათვლა 2018 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ იწყება.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ასახოს კლიენტებისათვის შეპირებული საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა იმ თანხად, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

ხუთეტაპიანი მოდელი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. კომპანია აფასებს მომავალში ფასს 15-ის გამოყენების გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9 “ფინანსური ინსტრუმენტები: კლასიფიკაცია და შეფასება”

ახალი სტანდარტის ძირითადი მახასიათებლები:

- ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია უნდა გახორციელდეს სამ კატეგორიად: შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შესაფასებელ აქტივებად; შემდგომში სამართლიანი ღირებულებით შესაფასებელ აქტივებად სხვა მთლიან მოგებაში (FVOCI); და შემდგომში სამართლიანი ღირებულებით შესაფასებელ აქტივებად მოგება ზარალში (FVPL)
- სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას სუბიექტის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი განსაზღვრავს, და ის, თუ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები რამდენად წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდას (SPPI). თუ სავალო ინსტრუმენტს მხოლოდ ამოღების მიზნით ფლობენ, შესაძლებელია მისი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ ის SPPI მოთხოვნებს აკმაყოფილებს. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც SPPI მოთხოვნებს აკმაყოფილებს და ინახება პორტფელში, სადაც სუბიექტი ინახავს, აგრეთვე, მოსაკრები აქტივების ფულად ნაკადებს და სარეალიზაციო აქტივებს, შესაძლებელია მათი კლასიფიკაცია როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შეიცავს SPPI ფულად ნაკადებს უნდა გაიზომოს FVPL საშუალებით (მაგ. დერივატივები). ჩაშენებული დერივატივების გამოყოფა აღარ ხდება ფინანსური აქტივებისგან, მაგრამ მათ გაითვალისწინებენ SPPI პირობის შეფასების დროს.
- ინვესტიციები საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებში ყოველთვის იზომება სამართლიანი ღირებულებით. ამასთან მმართველ გუნდს შეუძლია უპირობო არჩევანი გააკეთოს, რომ სამართლიანი ღირებულების ცვლილებები სხვა საერთო მოგებაში წარმოადგინოს, თუ პირობითი, რომ განსახილველი ინსტრუმენტი არ ინახება სავაჭრო მიზნებისთვის. თუ საკუთარი კაპიტალის



ინსტრუმენტს სავაჭრო მიზნებისთვის ფლობენ, სამართლიანი ღირებულების ცვლილება წარმოდგენილია მოგებაში ან ზარალში.

- ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებული ბასს 39-ის მოთხოვნების უმეტესობა შეუცვლელად იქნა გადატანილი ფასს 9-ში. ძირითადი ცვლილება არის ის, რომ სუბიექტი ვალდებულია წარმოადგინოს სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრული საკუთარი ფინანსური ვალდებულებების საკრედიტო რისკთან დაკავშირებული ცვლილებების შედეგები მოგებისა ან ზარალის საშუალებით სხვა საერთო მოგებაში.





5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, წარმოდგენილია შემდეგი სახით:

Historical cost	მიმდინარე		სატრ. საშ.		სხვა		სულ	
	ლარი	ევრო	ლარი	ევრო	ლარი	ევრო	ლარი	ევრო
თავდაპირველი ღირებულება								
ნაშთი								
01.01.2017	-	-	50,585	18,105	7,996	2,862	58,581	20,967
დამატებები	266,708	94,170	-	-	17,932	6,331	284,640	100,501
საკურსო								
სხვაობები	-	(8,257)	-	(1,810)	-	(841)	-	(10,908)
ნაშთი								
31.12.2017	266,708	85,913	50,585	16,295	25,928	8,352	343,221	110,560

აკუმულირებული ცვეთა

ნაშთი								
01.01.2017	-	-	(16,847)	(6,030)	(208)	(74)	(17,055)	(6,104)
სამორტიზაციო ხარჯები								
წლის განმავლობაში	-	-	(10,117)	(3,572)	(1,280)	(452)	(11,397)	
(4,024)								
საკურსო სხვაობები					916	-	47	-
			963					
ნაშთი								
31.12.2017	-	-	(26,964)	(8,686)	(1,488)	(479)	(28,452)	(9,165)

წმინდა საბალანსო ღირებულება

ნაშთი								
01.01.2017	-	-	33,738	12,075	7,788	2,788	41,526	14,863
ნაშთი								
31.12.2017	266,708	85,913	23,621	7,609	24,440	7,873	314,769	101,395

6. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით;

თავდაპირველი ღირებულება	მიწა		მიმდინარე მშენებლობა		სულ	
	ლარი	ევრო	ლარი	ევრო	ლარი	ევრო
ნაშთი 01.01.2017	8,247,083	2,951,712	16,158,764	5,783,380	24,405,847	8,735,092
სასესხო ხარჯები	-	-	5,512,279	1,946,289	5,512,279	1,946,289
დამატებები	-	-	18,099,646	6,390,667	18,099,646	6,390,667
საკურსო სხვაობები	-	(295,133)	-	(1,309,265)	-	(1,604,398)
ნაშთი 31.12.2017	8,247,083	2,656,579	39,770,689	12,811,071	48,017,772	15,467,650

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 96,101,372 ლარს (30,956,504 ევრო), რომელიც დამოუკიდებლად შეაფასა პროფესიონალმა ექსპერტმა. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება შეფასდა შედარებითი გაყიდვების მეთოდის საფუძველზე, რომელიც მოიცავს საბაზრო ფასების ანალიზს მსგავს ქონებაზე.

მიმდინარე მშენებლობა ძირითადად მოიცავს გოლფის მოედანს, გოლფის საწვრთნელ მოედანს,



შპს PRIMERA GOLF AND RESIDENCE LLC

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარში/ევროში)

(ლარში/ევროში)

მომსახურების შენობას და კლუბს. ასევე მოიცავს აქტივებს, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გოლფის მოედნის და საცხოვრებელი შენობების ექსპლუატაციისთვის (გზები, სარწყავი წყალი, ენერგომომარაგება, გაზი). კომპანია აპირებს დაიქირაოს სხვა კომპანია (დაკავშირებული მხარე) გოლფის მოედნის ტექნიკური მომსახურებისა და ექსპლუატაციისთვის. დეტალები იხილეთ შენიშვნაში 14.



7. მარაგები

მარაგები 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2017		1 იანვარი 2017	
	ლარი	ევრო	ლარი	ევრო
მიწა	947,300	305,148	947,300	339,048
მიმდინარე სამუშაო	1,937,366	624,071	575,401	205,942
სულ	2,884,666	929,219	1,522,701	544,990

უახლოეს მომავალში დაგეგმილია მიწის გაყიდვა. მიმდინარე სამუშაო მოიცავს რამდენიმე აშენებულ სახლს მომავალი მაცხოვრებლებისთვის. გარდა ამისა, მიმდინარე სამუშაო ასევე მოიცავს გზებს, სარწყავ წყლებს, ენერგომომარაგებას, გაზსადენებს, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს გაყიდვისთვის. 2018 წელს განხორციელდა რამდენიმე გაყიდვა.

კაპიტალიზირებული პროცენტები მიმდინარე მშენებლობაზე შეადგენდა 268,430 ლარს (94,778 ევრო).

8. წინასწარ გადახდილი ავანსები

წინასწარ გადახდილი ავანსები 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით::

	31 დეკემბერი 2017		1 იანვარი 2017	
	ლარი	ევრო	ლარი	ევრო
Primera Golf Management LLC *	1,391,020	448,080	-	-
შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი	519,199	167,246	-	-
შპს ყაზტრანსგაზი	145,694	46,931	68,285	24,440
სს თელასი	24,250	7,811	71,250	25,501
სულ	2,080,163	670,068	139,535	49,941

შპს Primera Golf Manageme-თვის გადახდილი ავანსი წარმოადგენს მომსახურების საფასურს 2018 წელს გოლფის მოედნის ტექნიკური მომსახურებისა და ექსპლუატაციისთვის. ყველა სხვა ავანსი გადახდილია სამშენებლო მომსახურებებისთვის.

9. მიმდინარე საგადასახადო აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიამ უნდა გადაიხადოს გადასახადები ერთიანი საბაზინო კოდექსის საფუძველზე, რომელიც ვრცელდება ყველა გადასახადზე. შედეგად 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის კომპანია წარმოადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს წმინდა საფუძველზე. კომპანიის საგადასახადო აქტივები 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 1,252,869 ლარს (403,578 ევრო) და 1,225,083 ლარს (438,469 ევრო).



12. სესხები

სესხები 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

ვადა	განაკვეთი	ვალუტა	არამიდინარე		არამიდინარე	
			31 დეკემბერი	1 იანვარი	31 დეკემბერი	1 იანვარი
			2017	2017	2017	2017
			ლარი	ლარი	ევრო	ევრო
OU Skinest Air	31/12/2026	15% EUR	79,708,473	37,684,859	25,675,967	13,487,781
სულ გრძელვადიანი სესხები			79,708,473	37,684,859	25,675,967	13,487,781

2017 წლის 1 მარტს კომპანიამ შეასწორა სესხის ხელშეკრულებები აქციონერთან - OU Skinest Air LLC. მხარეები შეთანხმდნენ სესხის დაფარვის თარიღის გაგრძელებაზე 2026 წლის 31 დეკემბრამდე და საპროცენტო განაკვეთი უნდა გამოითვალოს როგორც რთული პროცენტი 15%-ის ოდენობით 2017 წლის 8 მაისიდან.

სესხები არ არის უზრუნველყოფილი.

სესხების შემოწმება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	ლარი	ევრო
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	37,684,859	13,487,781
არაფულადი ცვლილებები		
საპროცენტო ხარჯი წლის განმავლობაში	1,447,409	511,055
საპროცენტო ხარჯების კაპიტალიზაცია	5,780,709	2,041,067
საკურსო სხვაობები	7,058,522	(39,926)
ფულადი ცვლილებები		
ახალი სესხები წლის განმავლობაში	27,736,974	9,675,990
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	79,708,473	25,675,967

სესხების სამართლიანი ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან. დამატებითი ინფორმაცია სესხების შესახებ მითითებულია შენიშვნაში 18.

13. დავალიანებები სამშენებლო და სხვა საქმიანობებისთვის

დავალიანებები სამშენებლო და სხვა საქმიანობებისთვის 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2017		1 იანვარი 2017	
	ლარი	ევრო	ლარი	ევრო
ფინანსური ვალდებულებები				
მშენებლობასთან დაკავშირებული	882,503	284,275	1,819,810	651,328
დავალიანებები				
დავალიანებები საკონსულტაციო მომსახურებისთვის	52,284	16,842	314,366	112,515
სხვა დავალიანებები	17,726	5,710	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	952,513	306,827	2,134,176	763,843
მიღებული ავანსები მიწის გაყიდვისთვის	38,331	12,348	-	-
სულ არაფინანსური ვალდებულებები	38,331	12,348	-	-
სულ ვალდებულებები	990,844	319,175	2,134,176	763,843



3

შპს PRIMERA GOLF AND RESIDENCE LLC

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარში/ევროში)

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების სამართლიანი ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან. დამატებითი ინფორმაცია სავაჭრ და სხვა კრედიტორული დავალიანებების შესახებ მითითებულია შენიშვნაში 18.



14. გოლფის მოედნის და პროფესიული მომსახურების საფასური

გოლფის მოედნის და პროფესიული მომსახურების საფასური 2017 წლით დასრულებული წლისათვის, შეიძლება წამოდგენილი იყოს შემდეგი სახით:

	2017	
	ლარი	ევრო
გოლფის მოედნის მომსახურების საფასური*	(1,315,254)	(464,393)
პროფესიული მომსახურების საფასური	(905,851)	(319,840)
კონსულტაციის საფასური**	(836,881)	(295,488)
იურიდიული და სხვა საკონსულტაციო მომსახურების საფასური	(68,970)	(24,352)
სულ	(2,221,105)	(784,233)

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში (თუ სხვაგვარად არ არის მითითებული), რადგან ხელმძღვანელობის აზრით ეს ვალუტა უფრო ხელსაყრელია ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებისთვის. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასებების და დაშვებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს ხელმძღვანელობის არსებითი სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს აქტივების და ვალდებულებების ასახულ თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის და შემოსავლების და დანახარჯების თანხებზე ანგარიშგების პერიოდის განმავლობაში. მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც მოიცავს დაშვებების ან სირთულის უფრო მაღალ დონეს, ან სფეროებს, რომელშიც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, ასახულია ფინანსური ანგარიშგების მე-19 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების მიღება

მიმდინარე წელს კომპანიამ მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) და ბასს-ის ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) მიერ გამოშვებული ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელიც დაკავშირებულია მათ საქმიანობებთან და ძალაშია წლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის, რომლის ათვლა 2017 წლის 1 იანვრიდან იწყება.

აღნიშნული ცვლილებების ბუნება და ეფექტი ასახულია ქვემოთ. მიუხედავად იმისა, რომ ახალი სტანდარტები და ცვლილებები პირველად იქნა გამოყენებული 2017 წელს, მათ არსებითი გავლენა არ მოახდინეს კომპანიის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელთა ათვლა იწყება 2017 წლის 1 იანვარს ან 1-ელი იანვრიდან.

ინიციატივა ინფორმაციის გამჟღავნების სფეროში (ცვლილებები ბასს 7-ში *ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება*)

ცვლილებები ბასს 7-ში, რომელიც ძალაში 2017 წლის 1 იანვრიდან, მოითხოვს კომპანიამ წარმოადგინოს ინფორმაცია ცვლილებების შესახებ ვალდებულებებში ფინანსური საქმიანობებიდან. კომპანია აღნიშნულ ცვლილებებს ყოფს შემდეგ კატეგორიებად: ცვლილებები, რომელიც წარმოიქმნა ფულადი სახსრების მოძრაობიდან და არაფულადი ცვლილებები, შემდგომი ქვე-კატეგორიებით, ბასს 7-ის თანახმად (იხილეთ შენიშვნა **Error! Reference source not found.**).

ცვლილებები ბასს 12 მოგების გადასახადები

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა „არარეალიზებულ ზარალთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება“, რომელმაც გამოიწვია მცირე ცვლილებები ბასს 12-ში *მოგების გადასახადები*. აღნიშნული ცვლილებები ორიენტირებულია იმის განსაზღვრაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ სავალო ინსტრუმენტებთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივების ასახვა, კერძოდ როდესაც ცვლილებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთში ამცირებს სავალო ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებას თვითღირებულებაზე დაბლა.

აღნიშნული ცვლილებები განსაზღვრავს შემდეგ ასპექტებს:

:

- არარეალიზებულ ზარალი სავალო ინსტრუმენტებზე, რომელიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით და შეფასებულია თვითღირებულებით საგადასახადო

მიზნებისთვის, იძლევა გამოსაქვითი დროებითი სხვაობების საფუძველს იმის მიუხედავად სავალო ინსტრუმენტის მფლობელი სავალო ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულების დაფარვას გაყიდვით აპირებს თუ გამოყენებით;

- აქტივის საბალანსო ღირებულება არ ზღუდავს სავარაუდო მომავალი დასაბეგრი მოგების შეფასებას;
- მომავალი დასაბეგრი მოგების შეფასებები გამორიცხავს საგადასახადო დაქვითვებს, რომელიც გამომდინარეობს გამოსაქვითი დროებითი სხვაობების შებრუნების შედეგად;
- კომპანიამ უნდა გაითვალისწინოს საგადასახადო კანონი ზღუდავს თუ არა დასაბეგრი მოგების წყაროებს, რომლის მიხედვითაც ახორციელებს დაქვითვებს გამოსაქვითი დროებითი სხვაობების შებრუნებაზე. იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო კანონი არ ითვალისწინებს ასეთ შეზღუდვებს, კომპანია აფასებს გამოსაქვით დროებით სხვაობებს თავის ყველა სხვა გამოსაქვით დროებით სხვაობებთან კომბინაციით.

აღნიშნული ცვლილებები გამოყენებულ უნდა იქნას რეტროსპექტულად. აღნიშნული ცვლილებების შედეგად ხელმძღვანელობა არ ელოდება არსებით ზემოქმედებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

წლიური ცვლილებები 2014-2016

წლიური ცვლილებები 2014-2016 წლებში განისაზღვრა რამდენიმე მცირე შესწორებებით ფასს-ის ნომერში. აღნიშნული შესწორებები კომპანიასთან დაკავშირებით შეჯამებულია ქვემოთ:

ფასს 12 ინფორმაციის გამჟღავნება სხვა საწარმოებში მონაწილეობის/ინტერესების შესახებ

სტანდარტის სფეროს განმარტება.

ფასს 12 აღნიშნული ცვლილებები გამოყენებულ უნდა იქნას რეტროსპექტულა ბასს 8-ის შესაბამისად.

სტანდარტები, შესწორებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში და არ მიუღია კომპანიას

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცების დღეს, კონკრეტული ახალი სტანდარტები, შესწორებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები გამოქვეყნებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) მიერ, თუმცა ჯერ არ არის ძალაში შესული და მიღებული კომპანიის მიერ.

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა ფასს 9 *ფინანსური ინსტრუმენტები*, რომელიც წარმოადგენს მისი პროექტების დასრულებას ბასს 39-ის შესაცვლელად - *ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება*. ახალი სტანდარტი შეიტანს მნიშვნელოვან ცვლილებებს ბასს 39-ის სახელმძღვანელოში ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის და შეფასების შესახებ და შემოიღებს ახალ „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ მოდელს ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებით. ფასს 9 ასევე წარმოადგენს ახალ სახელმძღვანელოს ჰეჯირების აღრიცხვის შესახებ.

კომპანიის ხელმძღვანელობა აფასებს ახალი სტანდარტის ზემოქმედებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ახალი სტანდარტი გამოყენებულ უნდა იქნას წლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის, რომლის ათვლა იწყება 2018 წლის 1 იანვარს ან 1-ელი იანვრიდან.

სტანდარტები, შესწორებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში და არ მიუღია კომპანიას

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცების დღეს, კონკრეტული ახალი სტანდარტები, შესწორებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები გამოქვეყნებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) მიერ, თუმცა ჯერ არ არის ძალაში შესული და მიღებული კომპანიის მიერ.

ფასს 15 შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 წარმოადგენს ახალ მოთხოვნას შემოსავლის აღიარებისთვის, ცვლის ბასს 18-ს - *შემოსავლები*, ბასს 11-ს - *სამშენებლო კონტრაქტები*, და რამდენიმე შემოსავლებთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციას. ახალი სტანდარტი ადგენს კონტროლზე დაფუძნებული შემოსავლის აღიარების მოდელს და წარმოადგენს დამატებით სახელმძღვანელოს ბევრ სფეროში, რომელიც დეტალურად არ არის ასახული არსებულ ფასს-ში, მათ შორის როგორ უნდა მოხდეს შეფასებების აღრიცხვა სხვადასხვა შესრულების ვალდებულებებით, ცვლადი ფასებით, მომხმარებლის ანაზღაურების უფლებებით, მომწოდებლის განმეორებით შესყიდვის ოფციონების და სხვა ზოგადი სირთულეებით..

ფასს 15-ის ძირითადი პრინციპია საწარმო ალიაროს შემოსავალი იმისათვის, რომ ასახოს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემა იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კონკრეტულად აღნიშნული სტანდარტი ითვალისწინებს შემოსავლის აღიარების 5 ეტაპთან მიდგომას:

- კონტრაქტის იდენტიფიკაცია მომხმარებელთან;
- კონტრაქტში შესრულების ვალდებულებების იდენტიფიკაცია;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის განაწილება შესრულების ვალდებულებებზე კონტრაქტებში;
- შემოსავლის აღიარება როდესაც (ან როგორც კი) საწარმო შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას.

ფასს 15-ის შესაბამისად საწარმო მაშინ უნდა აღიაროს ამონაგები, როდესაც (ან როგორც კი) საწარმო შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას, ე.ი. როდესაც საქონლის ან მომსახურებების „კონტროლი“ (რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ შესასრულებელ ვალდებულებას) გადაეცემა მომხმარებელს. არსებითად ნორმატიული სახელმძღვანელო დაემატა ფასს 15-ს კონკრეტული სცენარების განხილვის მიზნით. გარდა ამისა, ფასს 15 მოითხოვს მნიშვნელოვან განმარტებით ინფორმაციას.

ფასს 15 ძალაშია ანგარიშგების პერიოდებისთვის, რომლის ათვლა იწყება 2018 წლის 1 იანვრიდან ან 1-ელი იანვრის შემდეგ.

კომპანიამ ადრე მიიღო ფასს 15 აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებებზე..

ფასს 16 იჯარები

ფასს 16 წარმოადგენს ახალ მოთხოვნებს და ცვლილებებს იჯარების აღრიცხვაში. ფასს 16 მოითხოვს მოიჯარეებმა აღრიცხონ იჯარები „საბალანსო უწყისში“ „გამოყენების უფლების აქტივის და საიჯარო ვალდებულების აღიარებით.

ფასს 16 ასევე:

- ცვლის იჯარის განსაზღვრებას;
- ადგენს მოთხოვნებს აქტივის და ვალდებულების აღრიცხვასთან დაკავშირებით; მათ შორის სირთულეებს, როგორიცაა არასაიჯარო ელემენტები, ცვლადი საიჯარო გადახდები და ოფციონის პერიოდები;
- ითვალისწინებს გამონაკლისებს მოკლევადიანი იჯარებისთვის და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარებისთვის;
- ცვლის გაყიდვის და იჯარის დაბრუნების შეთანხმებების აღრიცხვას;
- ფართოდ ინარჩუნებს ბასს 17-ის მიდგომას მეიჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით;
- ადგენს ახალ მოთხოვნებს გამჟღავნებასთან დაკავშირებით.

ფასს 16 ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლის ათვლა იწყება 2019 წლის 1 იანვრიდან ან 1-ელი იანვრის შემდეგ. ვადამდე მიღება ნებადართულია იმ პირობით, თუ ფასს 15 - *შემოსავლების/ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან* - ასევე გამოიყენება.

კომპანიამ ადრე მიიღო ფასს 16 აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებებში.

2.6 ფინანსური ანგარიშგებების ხელახლა ფორმულირება

კომპანია ახორციელებს ცვლილებებს სააღრიცხვო პოლიტიკაში და შესაბამისად ახდენს წინა პერიოდების შეცდომების კორექტირებას, გამოსაშვებად ნებადართული ფინანსური ანგარიშგებების პირველ პაკეტში, მათი გამჟღავნების შემდეგ, შემდეგი სახით: იმ წინა პერიოდების შედარებითი თანხების ხელახლა ფორმულირებით, რომელშიც შეცდომას ჰქონდა ადგილი; ან თუ შეცდომა მოხდა აღნიშნულ პერიოდებამდე, ამ პერიოდის აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის საწყისი ნაშთების ხელახლა ფორმულირებით. ფინანსური ანგარიშგებები, მათ შორის წინა პერიოდების შედარებითი ინფორმაცია წარმოდგენილია ისე, თითქოს კორექტირება განხორციელდა იმ პერიოდში, რომელშიც ამის საჭიროება დადგა. აქედან გამომდინარე კორექტირების მოცულობა, რომელიც უკავშირდება თითოეულ წარმოდგენილ პერიოდს, შეტანილია ამ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტები

გარიგებები უცხოურ ვალუტებში

ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, ფუნქციონალური ვალუტის გარდა, აღრიცხულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის მიხედვით. თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ერთეულები გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ანგარიშგების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით: 2.5922 ლარი - 1 აშშ დოლარი და 3.1044 ლარი - 1 ევრო 2017 წლის 31

დეკემბრის მდგომარეობით (2016 წლის 31 დეკემბერს: 2.6468ლარი - 1 აშშ დოლარი და 2.7940 ლარი - 1 ევრო). არაფულადი ერთეულები არ არის გადაყვანილი და შეფასებულია თავდაპირველი ღირებულებით (გადაყვანილია ტრანზაქციის დღეს გაცვლითი კურსის გამოყენებით), სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული არაფულადი ერთეულების გარდა, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, რომლებიც გადაყვანილია იმ დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის მიხედვით, როდესაც სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიქმნება ანგარიშსწორების და ფულადი ერთეულების გადაყვანის დროს, შეტანილია მოგება ზარალში აღნიშნულ პერიოდში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მითითებულია თვითღირებულებით, დაგროვებული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იმპორტის მოსაკრებლებს და გამოუქვითავ გადასახადებს და სხვა პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. როდესაც ძირითადი საშუალებები შეიცავს მნიშვნელოვან კომპონენტებს, რომლებსაც სხვადასხვა სარგებლობის ვადები გააჩნიათ, ისინი აღირიცხება როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების კომპონენტის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებს შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც აქტივები ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შენობა-ნაგებობები	- 20 წელი
მანქანა-დანადგარები და მძიმე ტექნიკა	- 5-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები და მოწყობილობები	- 5-10 წელი
სხვა	- 5 წელი

3.3 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაცია ირიცხება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის საფუძველზე არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადაში, რომელიც შეფასებულია 10 წლით პროგრამული უზრუნველყოფისთვის.

3.4 მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მითითებულია ხარჯებსა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში, რომელსაც აკლდება დასრულების შეფასებული ხარჯები და სარეალიზაციო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება „ფიფო“ მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების შეძენისთვის და ადგილზე მიტანისა და არსებულ პირობებში შენარჩუნებისთვის.

3.5 ფინანსური ინსტრუმენტები

აღიარება, თავდაპირველი შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მას შემდეგ რაც კომპანია გახდება ფინანსური ინსტრუმენტის ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივიდან ფულად ნაკადებთან დაკავშირებული საკონტრაქტო უფლებები ამოიწურება ან როდესაც ფინანსური აქტივის და ყველა არსებითი რისკის და სარგებელის გადაცემა მოხდება.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ისინი დაიფარება, გაუქმდება ან ამოიწურება მათი ვადა.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ასევე ემატება ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები, იმ ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გარდა, რომლებიც მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით არიან აღრიცხული, რომლებიც თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით არის შეფასებული

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად თავდაპირველი აღიარების შემდეგ:

- სესხები და დებიტორული დავალიანებები;
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში;
- გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები;
- ვადიანი ინვესტიციები.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას სხვადასხვა კატეგორიებს მიეკუთვნება მათი მახასიათებლებისა და დანიშნულების შესაბამისად. ფინანსური ინსტრუმენტის კატეგორია მნიშვნელოვანია მისი შეფასების თვალსაზრისით და გამომდინარე მოგება და ხარჯი აღიარებულია მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში. იხილეთ შენიშვნა **Error! Reference source not found.** კომპანიის ფინანსური აქტივების კატეგორიებად დაყოფასთან დაკავშირებით.

ზოგადად, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივს აღიარებს ანგარიშსწორების დღეს აღრიცხვის მეთოდის გამოყენებით. ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება მინიმუმ ყოველ ანგარიშგების დღეს. ყველა შემოსავალი და ხარჯი, დაკავშირებული ფინანსურ აქტივთან, აღიარებულია მოგება-ზარალში და წარმოდგენილია ფინანსური ხარჯების, ფინანსური შემოსავლის ან სხვა ფინანსური ერთეულების ფარგლებში, გარდა

დებიტორული დავალიანებების გაუფასურებისა, რომელიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში.

i სესხები და დებიტორული დავალიანებები

სესხები და დებიტორული დავალიანებები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსური აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს, ასევე ფულს და საბანკო ნაშთებს..

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

მიმდინარე დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში ისინი შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, მინუს გაუფასურების რეზერვი. დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი წარმოიშობა, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს ყველა გადასახდელი თანხის ინკასირებას დებიტორული დავალიანებების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, მისი დეფოლტი და გადახდების შეჩერება არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ სავაჭრო დებიტორული დავალიანება გაუფასურდა. რეზერვის ოდენობა განისაზღვრება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობით, რომელთა დოსკონტირება ხდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

რეზერვის ნაშთი რეგულირდება ხარჯის ან შემოსავლის ასახვით ანგარიშების პერიოდის მოგება-ზარალში. ნებისმიერი თანხის ჩამოწერა მომხმარებლის ანგარიშის ნაშთთან დაკავშირებით აისახება არსებული საექვო ანგარიშების რეზერვის ანგარიშზე. ყველა დებიტორული დავალიანება, რომლის ამოღება შესაძლებელი არ არის, ჩამოიწერება.

ფულადი და საბანკო ნაშთები

კომპანიის ფულადი და საბანკო ნაშთები მოიცავს ნაღდ ფულს და საბანკო ანგარიშებს.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და კრედიტებს, სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს და ფინანსური იჯარის ვალდებულებებს. კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში **Error! Reference source not found..**

i სესხები და კრედიტები

სესხები და კრედიტები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, სესხის გაცემასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებას და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარებულია მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხები მიღებულია მფლობელებისგან. ამ შემთხვევაში სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარებულია კაპიტალში, დამატებითი კაპიტალის სახით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხები და კრედიტები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით, სხვაობით ღირებულებასა და დაფარვის ღირებულებას შორის, რომელიც აღიარებულია მოგება-ზარალში სესხის პერიოდში ეფექტური პროცენტის საფუძველზე. პროცენტი და სასესხო სახსრებთან დაკავშირებით გაწეული სხვა ხარჯები აღიარდება ფინანსური ხარჯების ნაწილად, სასესხო ხარჯების გარდა, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია

კვალიფიცირებული აქტივის შეძენასთან, შექმნასთან ან წარმოებასთან, რომელიც კაპიტალიზებულია ამ აქტივის ნაწილად.

ii სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად მითითებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ ამორტიზირებული ღირებულებით.

iii ფინანსური იჯარის ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულებები მითითებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ ამორტიზირებული ღირებულებით.

3.6 გაუფასურება

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და მოწმდება ყოველწლიურად გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ამორტიზაციას, განიხილება გაუფასურებაზე, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი წმინდა გასაყიდ ფასსა და სამომხმარებლო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი თანხა ან ფულადი სახსრების გენერირებადი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, აქტივის საბალანსო ღირებულება ან ფულადი სახსრების გენერირებადი ერთეული შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რომელ შემთხვევაშიც გაუფასურების ზარალი განიხილება გადაფასების შემცირებად.

იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შებრუნება აქტივის ან ფულადი სახსრების გენერირებადი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუმცა ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა წლებში აქტივის ან ფულადი სახსრების გენერირებადი ერთეულის გაუფასურების ზარალის არქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში თუ ეს აქტივი ასახულია გადაფასებული ღირებულებით, რომელ შემთხვევაშიც გაუფასურების ზარალის შებრუნება განისაზღვრება, როგორც გადაფასების ზრდა..

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველ სანგარიშგებო დღეს, ფინანსური აქტივები, მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით წარმოდგენილის გარდა, ფასდება გაუფასურების ინდიკატორისთვის. ფინანსური აქტივების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან რამდენიმე შემთხვევის მოხდენის ალბათობა, ინვესტიციის შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებზე მოახდენს გავლენას.

ამორტიზირებული ღირებულებით წარმოდგენილი ფინანსური აქტივებისთვის, გაუფასურების ოდენობა წარმოადგენს აქტივის საბალანსო ღირებულებასა და თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დოსკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით ყველა ფინანსური აქტივისთვის, გარდა სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის გამოყენებით.

გასაყიდად არსებული წილობრივი ინსტრუმენტების გარდა, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალის ოდენობა შემცირდება და ეს შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაკავშირებული იყოს გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ შემთხვევასთან, წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნებულია მოგება-ზარალში იმ პირობით, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურების თარიღისთვის არ გადაჭარბებს ამორტიზირებად ღირებულებას, გაუფასურების არაღიარების შემთხვევაში.

გასაყიდად არსებულ წილობრივ ფასიან ქვადებთან დაკავშირებით, სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ზრდა შემდგომი გაუფასურებით, პირდაპირ აღიარდება კაპიტალში.

3.7 კაპიტალი

დაგროვებული მოგება მოიცავს ყველა მიმდინარე და წინა პერიოდის გაუნაწილებელ მოგებას. დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოცხადდება.

3.8 იჯარები

კომპანია იჯარით გასცემს სხვადასხვა დანადგარებს, მოწყობილობას, სატრანსპორტო საშუალებებს და საოფისე შენობებს. იჯარის ხელშეკრულებები ტიპიურად ფორმდება ფიქსირებული ვადებით 2-დან 10 წლამდე, თუმცა შესაძლოა ჰქონდეს გაგრძელების უფლება, როგორც აღწერილია მოცემულ შენიშვნაში. იჯარის პირობების შეთანხმება ხდება ინდივიდუალურად და ითვალისწინებს სხვადასხვა პირობებისა და დებულებების ფართო სპექტრს. იჯარის ხელშეკრულებები არ ითვალისწინებს ვალდებულებებს, თუმცა საიჯარო აქტივები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას უზრუნველყოფის სახით სასესხო მიზნებისთვის.

იჯარები აღიარებულია აქტივად გამოყენების უფლებით და ვალდებულებების სახით იმ დღეს, როდესაც საიჯარო აქტივები ხელმისაწვდომია გასაყიდად კომპანიის მიერ. თითოეული საიჯარო გადახდა ნაწილდება ვალდებულებას და ფინანსურ ხარჯს შორის. ფინანსური ხარჯი ირიცხება მოგება -ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში თითოეულ პერიოდში მუდმივი საპროცენტო განაკვეთის შემცირების მიზნით ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე.

აქტივი, გამოყენების უფლების სახით, უფასურდება აქტივის საექსპლუატაციო მომსახურების ვადას და საიჯარო ვადას შორის უმცირეს ვადაში წრფივი მეთოდის საფუძველზე.

იჯარიდან წარმოშობილი აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს შემდეგი საიჯარო გადახდების წმინდა მიმდინარე ღირებულებას:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის არსებითად ფიქსირებული გადახდები), მინუს საიჯარო შეღავათები.
- ცვლადი საიჯარო გადასახადი, რომელიც ეფუძნება ინდექსს ან განაკვეთს;
- მოიჯარის მიერ გადასახდელი თანხები, ნარჩენი ღირებულების გარანტიების საფუძველზე;
- შესყიდვის ოფციონის გამოყენების ფასი, თუ მოიჯარე სათანადოდ არის დარწმუნებული აღნიშნული ოფციონის გამოყენებაში, და
- ჯარიმების გადახდა იჯარის შეწყვეტისთვის, თუ იჯარის ვადა ითვალისწინებს, რომ მოიჯარე იყენებს ამ ოფციონს.

საიჯარო გადახდები დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, თუ შესაძლებელი იქნება ასეთი განაკვეთის განსაზღვრა, ან კომპანიის დამატებითი სასესხო განაკვეთის გამოყენებით.

გამოყენების უფლების აქტივები ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხა;
- ნებისმიერი საიჯარო გადახდა, განხორციელებული დაწყების დღეს ან მანამდე, მინუს მიღებული საიჯარო შეღავათები.
- ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი ხარჯი, და
- აღდგენის ხარჯები.

მოკლევადიან იჯარებთან და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარებთან დაკავშირებული გადახდები აღიარებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე ხარჯად მოგება-ზარალში. მოკლევადიანი იჯარები არის იჯარები 12 თვის ან ნაკლები საიჯარო ვადით. დაბალი ღირებულების აქტივები მოიცავს IT-მოწყობილობას და საოფისე ავეჯის მცირე ერთეულებს.

ცვლადი საიჯარო გადახდები

კომპანიას არ გააჩნია ცვლადი საიჯარო გადახდების მქონე იჯარები.

გაგრძელების და შეწყვეტის ოფციონები

გაგრძელების და შეწყვეტის ოფციონები შესაძლოა შეტანილ იქნას საიჯარო კონტრაქტებში. ჩვეულებრივ, გაგრძელების და შეწყვეტის ოფციონები გამოიყენება მხოლოდ კომპანიის მიერ და არა მეიჯარის მიერ.

მნიშვნელოვანი შეფასებები საიჯარო ვადის განსაზღვრაში

საიჯარო ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ სტიმულს გაგრძელების ოფციონის გამოყენებისთვის და არა შეწყვეტის ოფციონის გამოყენებისთვის. გაგრძელების ოფციონები (ან პერიოდები შეწყვეტის ოფციონების შემდეგ) შეტანილია მხოლოდ საიჯარო ვადაში იმ შემთხვევაში, თუ სათანადოდ არის განსაზღვრული იჯარის გაგრძელება (და არა შეწყვეტა). შეფასებები გადაიხედება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება მნიშვნელოვან მოვლენას ან გარემოებების მნიშვნელოვან ცვლილებას, რომელიც გავლენას ახდენს შეფასებაზე და რომელიც მოქცეულია მოიჯარის კონტროლის ფარგლებში.

3.9 რეზერვები

A

რეზერვი აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წინა შემთხვევის შედეგად, და შესაძლოა მოთხოვნილ იქნას ეკონომიკური სარგებელის გადინება ვალდებულების დასაფარად. თუ ეფექტი მნიშვნელოვანია რეზერვები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით დაბეგვრამდე განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების და შესაბამის შემთხვევაში ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებას.

3.10 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახდი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება დასაბეგრ მოგებაზე / (ზარალი) წლის განმავლობაში, ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

კორპორატიული მოგების გადასახადში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო კორპორატიული მოგების დაბეგვრის ახალი მოდელის შემოღებას.

ახალი მოდელი („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“) ითვალისწინებს ნულოვან კორპორატიულ საგადასახადო განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15% კორპორატიულ საგადასახადო განაკვეთს განაწილებულ შემოსავლებზე, მაშინ როდესაც წინა მოდელის მიხედვით კომპანიის მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა მოგება განაწილებული იყო თუ არა. ცვლილებების შედეგად, რომელიც დაიწყო 2017 წლის 1 იანვარს, კომპანიები გადაიხდიან კორპორატიულ მოგების გადასახადს მოგების განაწილებაზე (აქციონერებისთვის განაწილებული მოგება დივიდენდების სახით) და ინდივიდუალურ ტრანზაქციებზე, რომელიც შესაძლოა ჩაითვალოს მოგების არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები და ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობებთან და სხვა).

კორპორატიული მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების განაწილებიდან, აღიარებულია ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, ფაქტობრივი გადახდის თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომელშიც მოხდა დივიდენდების განაწილება. საგადასახადო განაკვეთი შეადგენს წმინდა განაწილების თანხის 15/85.

გადახდილ და გამოცხადებულ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის ჩათვლა არსებობს კორპორატიული მოგების გადასახადზე, რომელიც გადახდილია გაუნაწილებელ მოგებებზე 2008-2016 წლებში, თუ ეს მოგებები განაწილებულაი 2017 წელს ან შემდგომ წლებში.

კორპორატიული მოგების დაბეგვრის შესწორებული კონცეფციის შესაბამისად, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს შორის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და საგადასახადო ბაზებში. აქედან გამომდინარე გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, როგორც განსაზღვრულია ბასს 12-ში - *მოგების გადასახადები*, - არ შეიძლება შეიქმნას 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ.

გადავადებული გადასახადები 2017 წლის 1 იანვრამდე

გადავადებული გადასახადი აღიარებულია დროებითი სხვაობების საფუძველზე აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს შორის ფინანსურ ანგარიშგებებში და დასაბეგრი მოგების გამოთვლაში გამოყენებულ შესაბამის საგადასახადო ბაზებში. გადავადებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ზოგადად აღიარებულია ყველა დასაბეგრ დროებით სხვაობებთან დაკავშირებით. გადავადებული საგადასახადო აქტივები ზოგადად აღიარებულია ყველა დაქვითვად დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ შესაძლებელი იქნება დასაბეგრი მოგების ხელმისაწვდომობა, რომლის მიმართ აღნიშნული დაქვითვადი დროებითი სხვაობის გამოყენება. ასეთი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ არის აღიარებული იმ შემთხვევაში, თუ დროებითი სხვაობები წარმოიქმნება გუდვილიდან ან სხვა აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებიდან (ბიზნესის გაერთიანების გარდა) გარიგებაში, რომელიც გავლენას არ ახდენს არც დასაბეგრ მოგებაზე და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივების საბალანსო ღირებულება გადაიხედება თითოეული ანგარიშგების პერიოდის ბოლოს და შემცირდება იმ პირობით, თუ შესაძლებელი აღარ იქნება საკმარისი დასაბეგრი მოგებების ხელმისაწვდომობა ყველა ან ნაწილი აქტივის დასაფარად.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფასდება საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც გამოიყენება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა ვალდებულების დაფარვა ან აქტივის რეალიზება ანგარიშგების პერიოდის ბოლოს მიღებული ან არსებითად მიღებული საგადასახადო განაკვეთების (და საგადასახადო კანონების) საფუძველზე. გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების შეფასება ასახავს, რომ საგადასახადო შედეგები შესაძლოა დადგეს იმ ფორმით, რომ კომპანია, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, დაფარავს თავისი აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას.

3.11 შემოსავლის აღიარება

კომპანია იღებს შემოსავალს სამშენებლო მომსახურებებიდან.

შემოსავალი აღიარებულია იმ ოდენობით, რომელსაც საწარმო მიიღებს კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურებების გადაცემის სანაცვლოდ.

კომპანია განიხილავს კონტრაქტს კლიენტთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილდება შემდეგი კრიტერიუმები:

- (ა) კონტრაქტის მხარეებმა დაამტკიცეს კონტრაქტი (წერილობით, ზეპირად ან სხვა საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად) და აიღეს პასუხისმგებლობა ვალდებულებების შესრულებაზე.
- (ბ) კომპანიას შეუძლია განსაზღვროს თითოეული მხარის უფლებები გადასაცემ საქონელთან ან მომსახურებებთან დაკავშირებით.
- (გ) კომპანიას შეუძლია განსაზღვროს გადახდის პირობები გადასაცემ საქონელთან ან მომსახურებებთან დაკავშირებით;
- (დ) კონტრაქტს აქვს კომერციული შინაარსი (ე.ი. საწარმოს მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობა, რისკი ან ვადა სავარაუდოდ შეიცვლება კონტრაქტის შედეგად); და
- (ე) სავარაუდოდ კომპანია ამოიღებს ანაზღაურებას, რომლის უფლებამოსილებაც ექნება კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურებების გადაცემის სანაცვლოდ. იმის შეფასებისას შესაძლებელია თუ არა ანაზღაურების თანხის ამოღება, კომპანია ითვალისწინებს მხოლოდ კლიენტის უნარს და სურვილს ანაზღაურების თანხის გადახდასთან დაკავშირებით გადახდის ვადის დადგომისას. ანაზღაურების თანხა,

რომლის მიღების უფლებამოსილებაც გააჩნია კომპანიას, შესაძლოა ნაკლები იყოს კონტრაქტში მითითებულ ფასზე იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურება ცვლადია იმის გამო, რომ კომპანიამ კლიენტს შესაძლოა შესთავაზოს ფასდაკლება.

კონტრაქტი არის შეთანხმება ორ ან მეტ მხარეს შორის, რომელიც ქმნის იურიდიულად გამყარებულ უფლებებსა და ვალდებულებებს. უფლებების და ვალდებულებების განხორციელება კონტრაქტში სამართლის საკითხს წარმოადგენს. კომპანია განიხილავს კონტრაქტების სხვადასხვა საკითხებს, მათ შორის მიღებულ პრაქტიკებს და პროცესებს იმის განსაზღვრისას ქმნის თუ არა კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულება იურიდიულად გამყარებულ უფლებებსა და ვალდებულებებს. კონტრაქტი არ შედგება თუ კონტრაქტის თითოეულ მხარეს აქვს ცალმხრივი იურიდიული უფლება მთლიანად შეწყვიტოს შეუსრულებელი კონტრაქტი მეორე მხარისთვის (ანმხარეებისთვის) კომპენსაციის გადახდის გარეშე.

კონტრაქტების კომბინაცია

კომპანია აერთიანებს ორ ან მეტ კონტრაქტს, რომლებიც იმავე ან თითქმის იმავე დროს არის გაფორმებული აღნიშნულ კლიენტთან (ან კლიენტის დაკავშირებულ მხარეებთან) და თვლის მოცემულ კონტრაქტებს ერთ კონტრაქტად იმ შემთხვევაში თუ დაკმაყოფილება ქვემოთ მოცემული კრიტერიუმები:

- (ა) კონტრაქტები გაფორმებულია პაკეტის სახით საერთო კომერციული მიზნით;
- (ბ) ერთ კონტრაქტში გადასახდელი ანაზღაურების თანხა დამოკიდებულია სხვა კონტრაქტის ფასზე ან შესრულებაზე; ან
- (გ) კონტრაქტებში გათვალისწინებული საქონელი ან მომსახურებები (ან თითოეულ კონტრაქტში გათვალისწინებული საქონელი ან მომსახურებები) არის საერთო შესასრულებელი ვალდებულება.

კონტრაქტის მოდიფიკაციები

კონტრაქტის მოდიფიკაცია არის კონტრაქტის მხარეების მიერ დამტკიცებული კონტრაქტის ფარგლების ან ფასის (ან ორივე მათგანის) ცვლილება. კონტრაქტის მოდიფიკაცია მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტის მხარეები დაამტკიცებენ მოდიფიკაციას, რომელიც ქმნის ახალ ან ცვლის კონტრაქტის მხარეთა არსებულ იურიდიულად გამყარებულ უფლებებსა და ვალდებულებებს.

კომპანია განიხილავს კონტრაქტის მოდიფიკაციას ცალკე კონტრაქტად იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- (ა) კონტრაქტის ფარგლები იზრდება ცალკეული განსხვავებული შეპირებული საქონლის ან მომსახურებების დამატების გამო; და
- (ბ) კონტრაქტის ფასი იზრდება ანაზღაურების იმ თანხით, რომელიც ასახავს კომპანიის დამოუკიდებელ გასაყიდ ფასს დამატებით შეპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე და აღნიშნულ ფასში შესაბამის კორექტირებებს კონკრეტული კონტრაქტის გარემოებების ასახვის მიზნით.

შესრულების ვალდებულებების განსაზღვრა

კონტრაქტის მოქმედების დაწყებისას კომპანია აფასებს კლიენტთან კონტრაქტში შეთანხმებულ საქონელსა და მომსახურებებს და განსაზღვრავს შესრულების ვალდებულებად თითოეულ დაპირებას გადასცეს კლიენტს:

- (ა) საქონელი ან მომსახურება (ან საქონლის ან მომსახურებების პაკეტი), რომელიც განსხვავებულია; ან
- (ბ) აღნიშნული საქონლის ან მომსახურებების პაკეტი, რომლებიც არსებითადად იგივეა და გააჩნიათ კლიენტისთვის გადაცემის იგივე ფორმა.

დაპირებები კლიენტებთან გაფორმებულ კონტრაქტებში

კლიენტთან გაფორმებული კონტრაქტი ზოგადად გარკვევით მიუთითებს იმ საქონელს ან მომსახურებებს, რომლის გადაცემას ჰპირდება საწარმო კლიენტს. შესრულების ვალდებულება არ მოიცავს საქმიანობებს, რომელიც საწარმომ უნდა იკისროს კონტრაქტის შესრულებისთვის, გარდა კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის საქმიანობებისა.

შესრულების ვალდებულებების დაკმაყოფილება

კომპანია აღიარებს შემოსავალს როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას კლიენტისთვის შეპირებული საქონლის ან მომსახურების (ე.ი. აქტივის) გადაცემის გზით. აქტივის გადაცემული როდესაც კლიენტი მიიღებს აღნიშნული აქტივის კონტროლს.

დროთა განმავლობაში დაკმაყოფილებული შესრულების ვალდებულებები

საწარმო გადასცემს საქონლის ან მომსახურების კონტროლს დროთა განმავლობაში და აქედან გამომდინარე აკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას და აღიარებს შემოსავალს იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილება შემდეგი კრიტერიუმები;

- (ა) კლიენტი ერთდროულად იღებს და იყენებს საწარმოს მიერ ვალდებულების შესრულებით მიღებულ სარგებელს.
- (ბ) კომპანიის მიერ ვალდებულების შესრულება ქმნის ან აუმჯობესებს აქტივს (მაგალითად მიმდინარე სამუშაო) რომელსაც აკონტროლებს კლიენტი, შექმნილი ან გაუმჯობესებული აქტივის სახით; ან
- (გ) კომპანიის მიერ ვალდებულების შესრულება არ ქმნის აქტივს ალტერნატიული გამოყენებით კომპანიისთვის და საწარმოს აქვს მოცემულ თარიღამდე დასრულებული საქმიანობის ანაზღაურების მოთხოვნის იურიდიულად გამყარებული უფლება.

შესრულების ვალდებულების სრული დაკმაყოფილების პროგრესის შეფასება

დროთა განმავლობაში დაკმაყოფილებულ თითოეულ შესრულების ვალდებულებასთან დაკავშირებით, კომპანია აღიარებს შემოსავალს შესრულების ვალდებულების სრული დაკმაყოფილების პროგრესის შეფასების საფუძველზე. ამ პროცესის შეფასების მიზანია კომპანიის მიერ ვალდებულების შესრულების ასახვა კლიენტისთვის შეპირებული საქონლის ან მომსახურების კონტროლის გადაცემის თვალსაზრისით (ე.ი. საწარმოს შესრულების ვალდებულებების დაკმაყოფილება)

კომპანია აღიარებს შემოსავლებს დროთა განმავლობაში დაკმაყოფილებულ შესრულების ვალდებულებასთან დაკავშირებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანია სათანადოდ შეაფასებს პროგრესს შესრულების ვალდებულების სრული დაკმაყოფილების მიმართულებით.

ზოგ შემთხვევაში (მაგალითად, კონტრაქტის საწყის ეტაპებზე) კომპანიამ შესაძლოა ვერ შეძლოს შესრულების ვალდებულების შედეგის სათანადოდ შეფასება, თუმცა კომპანიას აქვს შესრულების ვალდებულების დაკმაყოფილებისას გაწეული ხარჯების დაფარვის მოლოდინი. ასეთ შემთხვევაში კომპანია აღიარებს შემოსავალს მხოლოდ გაწეული ხარჯების ფარგლებში იმ დრომდე, როდესაც შეძლებს შესრულების ვალდებულების შედეგის სათანადოდ შეფასებას. .

დროის კონკრეტულ მომენტში დაკმაყოფილებული შესრულების ვალდებულებები

იმ შემთხვევაში, თუ შესრულების ვალდებულება არ დაკმაყოფილდება დროთა განმავლობაში, როგორც მითითებულია ზემოთ პარაგრაფში, კომპანია დააკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას დროის კონკრეტულ მომენტში. აღნიშნული დროის განსაზღვრისას, როდესაც კლიენტი მოიპოვებს კონტროლს შეპირებულ აქტივზე და

კომპანია დააკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას, კომპანია ითვალისწინებს კონტროლის გადაცემის მოთხოვნებსა და ინდიკატორებს.

შეფასება

შესრულების ვალდებულების დაკმაყოფილების შემდეგ კომპანია შემოსავლად აღიარებს გარიგების ფასს (რომელშიც არ შედის ცვლადი ანაზღაურების შეფასებები) , რომელიც განსაზღვრულია აღნიშნულ შესრულების ვალდებულებაზე.

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანია ითვალისწინებს კონტრაქტის პირობებს და თავის ბიზნეს პრაქტიკას გარიგების ფასის განსაზღვრისას. გარიგების ფასი არის ანაზღაურების თანხა, რომლის მიღების უფლება აქვს კომპანიას კლიენტისთვის შეპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ, იმ თანხების გარდა, რომლებიც ინკასირებულია მესამე მხარეების სახელით (მაგალითად, გადასახადები გაყიდვებზე). კლიენტთან კონტრაქტში შეთანხმებული ანაზღაურება შესაძლოა მოიცავდეს ფიქსირებულ თანხებს, ცვლად თანხებს ან ორივე თანხას.

გარიგების ფასის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებების შედეგებს:

- (ა) ცვლადი ანაზღაურება;
- (ბ) ცვლადი ანაზღაურების შეზღუდული შეფასებები;
- (გ) კონტრაქტში დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტების არსებობა;
- (დ) არაფულადი ანაზღაურება; და
- (ე) კლიენტისთვის გადასახდელი ანაზღაურება.

ცვლადი ანაზღაურება

იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტში შეთანხმებული ანაზღაურება მოიცავს ცვლად თანხას, კომპანია აფასებს ანაზღაურების იმ თანხას, რომლის მიღების უფლება აქვს საწარმოს კლიენტისთვის შეპირებული საქონლის ან მომსახურებების გადაცემის სანაცვლოდ.

თითოეული ანგარიშგების პერიოდის ბოლოს კომპანია აახლებს შეფასებულ გარიგების ფასს (მათ შორის შეფასებებს შეზღუდულია თუ არა ცვლადი ანაზღაურების შეფასება) ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული გარემოებების და ანგარიშგების პერიოდში გარემოებების ცვლილებების ზუსტად წარმოდგენის მიზნით.

დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის არსებობა კონტრაქტში

კონტრაქტში დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის არსებობისას კომპანია დაფინანსების ეფექტებს (საპროცენტო შემოსავალი ან საპროცენტო ხარჯი) წარმოადგენს ცალკე კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლებისგან სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი ან საპროცენტო ხარჯი აღიარდება მხოლოდ საკონტრაქტო აქტივის ან საკონტრაქტო ვალდებულების აღიარების ფარგლებში, კლიენტთან გაფორმებულ კონტრაქტში.

გარიგების ფასის განსაზღვრა შესრულების ვალდებულებებთან დაკავშირებით.

გარიგების ფასი განსაზღვრულია თითოეულ შესრულების ვალდებულებასთან დაკავშირებით იმგვარად, რომ მოცემული თანხა ასახავს ანაზღაურების თანხას, რომლის მიღების უფლება აქვს საწარმოს კლიენტისთვის შეპირებული საქონლის ან მომსახურებების გადაცემის სანაცვლოდ.

ცვლილებები გარიგების ფასში

თუ კონტრაქტის მოქმედების დაწყებისას გარიგების ფასი შეიცვლება, კომპანია განსაზღვრავს ცვლილებებს შესრულების ვალდებულებებში კონტრაქტში, კონტრაქტის

დაწყებისას არსებული პირობებით. შედეგად კომპანია არ მოახდენს გარიგების ფასის ხელახლა განსაზღვრას ცვლილებების ასახვის მიზნით ინდივიდუალურ გასაყიდ ფასებში კონტრაქტის მოქმედების დაწყების შემდეგ. დაკმაყოფილებული შესრულების ვალდებულებასთან დაკავშირებით განსაზღვრული თანხები აღიარებულია შემოსავლად ან შემოსავლის შემცირებად იმ პერიოდში, როდესაც გარიგების ფასი შეიცვალა.

საკონტრაქტო ხარჯები

კონტრაქტის მიღების დამატებითი ხარჯები

კომპანია აქტივად აღიარებს კლიენტთან კონტრაქტის მიღების დამატებით ხარჯებს იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მოელის აღნიშნული ხარჯების დაფარვას.

კონტრაქტის მიღების ხარჯები, რომლებიც გაწეულია იმის მიუხედავად მიღებულია თუ არა კონტრაქტი, აღიარებული უნდა იქნას ხარჯად (გაწევის პერიოდში) გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული ხარჯები პირდაპირ ექვემდებარება გადახდას კლიენტისთვის იმის მიუხედავად მიღებულია თუ არა კონტრაქტი.

კონტრაქტის შესრულების ხარჯები

კომპანია აღიარებს აქტივს კონტრაქტის შესრულებისთვის გაწეული ხარჯებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ხარჯები აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს.

- (ა) ხარჯები პირდაპირ უკავშირდება კონტრაქტს ან სავარაუდო კონტრაქტს, რომელსაც კომპანია კონკრეტულად განსაზღვრავს (მაგალითად, არსებული კონტრაქტის განახლების შედეგად გასაწევ მომსახურებებთან დაკავშირებული ხარჯები ან კონკრეტული კონტრაქტის (რომელიც ჯერ არ არის დამტკიცებული) საფუძველზე გადასაცემია ქტივის განსაზღვრის ხარჯები).
- (ბ) ხარჯები ქმნის ან ავითარებს კომპანიის რესურსებს, რომელიც გამოიყენება შესრულების ვალდებულებების დაკმაყოფილებისთვის მომავალში; და
- (გ) მოსალოდნელია აღნიშნული ხარჯების ანაზრაურობა.

ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება კონტრაქტს (ან კონკრეტულ სავარაუდო კონტრაქტს) მოიცავს შემდეგს:

- (ა) შრომის პირდაპირი ხარჯები (მაგალითად, თანამშრომელთა ხელფასები, რომლებიც მომსახურებებს უწევენ პირდაპირ კლიენტს);
- (ბ) მასალების პირდაპირი ხარჯები (მაგალითად, კლიენტისთვის შეპირებული მომსახურებების გაწევისას გამოყენებული მარაგები);
- (გ) ხარჯების განაწილება, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება კონტრაქტს ან კონტრაქტით გათვალისწინებულ საქმიანობებს (მაგალითად, კონტრაქტის მართვის და ზედამხედველობის ხარჯები, კონტრაქტის შესრულებაში გამოყენებული ინსტრუმენტების, მოწყობილობის გამოყენების უფლებით აქტივების დაზღვევის და გაუფასურების ხარჯები).
- (დ) ხარჯები, რომლებიც პირდაპირ ექვემდებარება გადახდას კლიენტისთვის კონტრაქტის შესაბამისად. და
- (ე) სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია მხოლოდ იმის გამო, რომ საწარმომ გააფორმა კონტრაქტი (მაგალითად, გადახდები ქვე-კონტრაქტორებისთვის).

ქვემოთ მოცემული ხარჯები აღიარებულია ხარჯებად, მათი გაწევისას:

- (ა) საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (კონტრაქტის შესაბამისად კლიენტისთვის პირდაპირ გადასახდელი ხარჯების გარდა, რომელ შემთხვევაშიც საწარმომ უნდა შეაფასოს აღნიშნული ხარჯები 97 პარაგრაფის შესაბამისად).

- (ბ) გამოყენებული მასალების, შრომის და სხვა რესურსების ხარჯები კონტრაქტის შესრულებისთვის, რომლებიც არ არის ასახული კონტრაქტის ფასში;
- (გ) ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია შესრულების ვალდებულებებთან (ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებულ შესრულების ვალდებულებებთან) კონტრაქტში (ე.ი ხარჯები, რომელიც უკავშირდება წინა შესრულებას); და
- (დ) ხარჯები, რომლებთან დაკავშირებით საწარმოს არ შეუძლია განასხვავოს დაუკმაყოფილებელ შესრულების ვალდებულებებს უკავშირდება თუ დაკმაყოფილებულ შესრულების ვალდებულებებს (ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებულ შესრულების ვალდებულებებს).

ამორტიზაცია და გაუფასურება

აქტივი აღიარებულია, ზემოთ მითითებული პარაგრაფების შესაბამისად, ამორტიზირებულად სისტემატურ საფუძველზე, რომელიც შეესაბამება კლიენტისთვის იმ საქონლის ან მომსახურებების გადაცემას, რომელსაც აქტივი უკავშირდება. კომპანია განაახლებს ამორტიზაციას მნიშვნელოვანი ცვლილებების ასახვის მიზნით კლიენტისთვის იმ საქონლის ან მომსახურებების გადაცემის კომპანიისთვის სავარაუდო ვადებში, რომელსაც ეს აქტივი უკავშირდება. ასეთი ცვლილება აღირიცხება ცვლილებად სააღრიცხვო შეფასებაში ბასს 8-ის შესაბამისად.

კომპანია აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგება-ზარალში იმ პირობით, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს:

- (ა) ანაზღაურების დანარჩენი თანხა, რომლის მიღებას მოელის კომპანია იმ საქონლის ან მომსახურებების სანაცვლოდ, რომელსაც აქტივი უკავშირდება; მინუს
- (ბ) ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება აღნიშნული საქონლის ან მომსახურებების უზრუნველყოფას და რომელიც არ არის აღიარებული ხარჯებად.

3.12 ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის, ფულის ექვივალენტები არის მოკლე ვადიანი, მაღალ ლიკვიდური ინვესტიციები, რომელიც ადვილად კონვერტირდება ფულად სახსრებში და რომელიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულის ექვივალენტების ფლობის მიზანია მოკლევადიანი ფულადი ვალდებულებების დაკმაყოფილება და არა ინვესტიცია ან სხვა მიზნები. კომპანია ახდენს ინვესტიციების კლასიფიკაციას, როგორც ფულის ექვივალენტს, თუ ის ადვილად კონვერტირდება ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილებების უმნიშვნელო რისკებს.

4 ძირითადი საშუალებები

ლარში

	მიწა	შენიშვნები და ნაგებობები	მანქანები და მძიმე ტექნიკა	ავეჯი და საოფისე მოწყობილობა	სატრანსპორტო საშუალებები და ფიტინგები	სხვა	სულ
<i>ხარჯი</i>							
2016 წლის 1 იანვარს (არააუდირებული)	299,200	381,600	2,845,568	174,853	404,190	25,307	4,130,718
დამატებები	-	-	139,780	38,732	6,442	41,898	226,852
გასხვისებები	-	-	-	-	(15,006)	-	(15,006)
2016 წლის 31 დეკემბერს	299,200	381,600	2,985,348	213,585	395,626	67,205	4,342,564
დამატებები	-	37,818	234,102	24,068	66,112	25,087	387,187
გასხვისებები	-	-	(130,543)	(7,119)	(95,328)	-	(232,990)
რეკლასიფიკაცია გამოყენების უფლებიდან	-	-	1,440,557	-	-	-	1,440,557
2017 წლის 31 დეკემბერს	299,200	419,418	4,529,464	230,534	366,410	92,292	5,937,318
<i>აკუმულირებული ცვეთა</i>							
2016 წლის 1 იანვარს (არააუდირებული)	-	103,502	427,422	77,955	150,850	7,574	767,303
ხარჯი წლის განმავლობაში	-	19,080	270,491	39,761	54,634	8,725	392,691
გამორიცხული გასხვისებისას	-	-	-	-	(6,402)	-	(6,402)
2016 წლის 31 დეკემბერს	-	122,582	697,913	117,716	199,082	16,299	1,153,592
ხარჯი წლის განმავლობაში	-	21,950	428,805	35,885	57,836	25,413	569,889
გამორიცხული გასხვისებისას	-	-	(83,522)	(2,161)	(69,804)	-	(155,487)
რეკლასიფიკაცია გამოყენების უფლებიდან	-	-	459,802	-	-	-	459,802
2017 წლის 31 დეკემბერს	-	144,532	1,502,998	151,440	187,114	41,712	2,027,796
<i>საბალანსო ღირებულება</i>							
2016 წლის 31 დეკემბერს	299,200	259,018	2,287,435	95,869	196,544	50,906	3,188,972
2017 წლის 31 დეკემბერს	299,200	274,886	3,026,466	79,094	179,296	50,580	3,909,522

კომპანიის ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებით, რომელიც შეადგენს 1,794,009 ლარს, დაგირავებულია უზრუნველყოფის სახით სესხებისა და სასესხო სახსრებისთვის 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1,485,976 ლარი).

გაუფასურების ხარჯი, რომელიც შეადგენს 127,243 ლარს (2016: 156,491 ლარი) , დაკავშირებულია რეალიზაციის თვითღირებულებასთან 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (იხილეთ შენიშვნა **Error! Reference source not found.**).

5 აქტივი გამოყენების უფლებით

ლარში	დანადგარები	საოფისე ფართი	სულ
ხარჯი			
2016 წლის 1 იანვარს (არააუღირებული)	1,948,324	458,191	2,406,515
დამატებები	92,405	-	92,405
გასხვებისგან	-	-	-
2016 წლის 31 დეკემბერს	2,040,729	458,191	2,498,920
დამატებები	767,100	-	767,100
გასხვებისგან	(640,531)	-	(640,531)
ძირითადი საშუალებების რეკლასიფიკაცია	(1,440,557)	-	(1,440,557)
2017 წლის 31 დეკემბერს	726,741	458,191	1,184,932
აკუმულირებული გაუფასურება			
2016 წლის 1 იანვარს (არააუღირებული)	347,752	142,943	490,695
ხარჯი წლის განმავლობაში	227,920	49,905	277,825
გამორიცხული გასხვებისგან	-	-	-
2016 წლის 31 დეკემბერს	575,672	192,848	768,520
ხარჯი წლის განმავლობაში	67,451	49,769	117,220
გამორიცხული გასხვებისგან	(146,146)	-	(146,146)
ძირითადი საშუალებების რეკლასიფიკაცია	(459,802)	-	(459,802)
2017 წლის 31 დეკემბერს	37,175	242,617	279,792
საბალანსო ღირებულება			
2016 წლის 31 დეკემბერს	1,465,057	265,343	1,730,400
2017 წლის 31 დეკემბერს	689,566	215,574	905,140

გაუფასურების ხარჯი, რომელიც შეადგენს 67,451 (2016: 227,920 ლარი) დაკავშირებულია რეალიზაციის თვითღირებულებასთან 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (იხილეთ შენიშვნა **Error! Reference source not found.**).

საიჯარო აქტივები მოიცავს სხვადასხვა მოწყობილობას, სპეციალურ დანადგარებს, რომლის საიჯარო ვადა ერთ ან ორ წელს შეადგენს. კომპანიამ ასევე იჯარით აიღო ოფისი 10 წლიანი ვადით.

6 გაცემული სესხები

ლარში	საპროცენტო განაკვეთი	გადახდის ვადა	2017 წლის 31 დეკემბერს	2016 წლის 31 დეკემბერს
გოგი გულორდავა	20%	1-May-22	15,705,345	11,432,378
შპს მუზეუმი	20%	30-Sep-25	1,458,573	2,099,862
სულ			17,163,918	13,532,240
სესხების არამიმდინარე ნაწილი			17,163,918	13,532,240
გაცემული სესხების მიმდინარე ნაწილი			-	-
სულ			17,163,918	13,532,240

ორივე მსესხებელი არიან კომპანიის დაკავშირებული მხარეები - ბ-ნი გულორდავა, კომპანიის მფლობელი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და შპს მუზეუმი არის საწარმო, რომელსაც მთლიანად ფლობს ბ-ნი გულორდავა. სესხები არ არის უზრუნველყოფილი და კონტრაქტის პირობების შესაბამისად როგორც ძირითადი თანხა ასევე პროცენტი გადასახდელია მათი გადახდის დღეს.. ხელმძღვანელობის მოსაზრებით სესხები არ არის გაიფასურებული. დამატებითი ინფორმაციისთვის ასევე იხილეთ შენიშვნა **Error! Reference source not found.**

7 მარაგები

ლარში	As of 31 December 2017	As of 31 December 2016
ნედლი მასალები	2,800,692	3,309,873
მიმდინარე სამუშაო	258,545	6,960,662
დასრულებული საქონელი	65,438	135,152
	3,124,675	10,405,687

კომპანიის მარაგები 2,800,692 ლარის ოდენობით დაგირავებულია უზრუნველყოფის სახით სესხებისა და კრედიტებისთვის 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2016 წლის 31 დეკემბერს: 3,309,873 ლარი).

8 სავაჭრო და სხვა დავალიანებები

ლარში	As of 31 December 2017	As of 31 December 2016
სავაჭრო დებ დავალიანებები	10,964,920	4,973,287
საკონტარქტო დავალიანებები	698,145	5,785,868
თანამშრომელთა დავალიანებები	3,484,965	3,011,751
	15,148,030	13,770,906
დანარიცხები საეჭვო სავაჭრო დავალიანებებზე	(1,141,212)	(1,141,212)
წმინდა დებიტორული დავალიანებები	14,006,818	12,629,694
ავანსები და წინასწარი გადახდები	2,758,739	1,561,096
	16,765,557	14,190,790

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. დებიტორული დავალიანებების წმინდა საბალანსო ღირებულება ითვლება სამართლიანი ღირებულების მიახლოებულ თანხად.

საშუალო საკრედიტო პერიოდი მომსახურებების გაყიდვაზე შეადგენს 90 დღეს. დებიტორულ დავალიანებებს არ ერიცხება არანაირი პროცენტი. კომპანიამ დაუშვა ფასდაკლება ერთ დავალიანებაზე, რომელიც გადავადდა 3 წელზე მეტი ხნით 1,141,212 ლარის ოდენობით 2017 წელს.

ქვემოთ ცხრილში მითითებულია დებიტორული დავალიანებების მდგომარეობა:

ლარში	2017 წლის 31 დეკემბერს	2016 წლის 31 დეკემბერს
არც გადავადებული, არც გაუფასურებული	8,047,559	2,055,926
გადავადებული, მაგრამ არა-გაუფასურებული	1,776,149	1,776,149
გადავადებული და გაუფასურებული	1,141,212	1,141,212
	<u>10,964,920</u>	<u>4,973,287</u>

საექვო დებიტორული დავალიანებების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია ქვემოთ::

ლარში	2017	2016
ნაშთი წლის დასაწყისში	(1,141,212)	(1,141,212)
რეზერვის კორექტირება	-	-
რეზერვის ზრდა პერიოდის განმავლობაში	-	-
ნაშთი წლის ბოლოს	<u>(1,141,212)</u>	<u>(1,141,212)</u>

In

დებიტორული დავალიანებების ანაზღაურებადობის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ნებისმიერ ცვლილებას დაფარვის პერიოდულობაში დებიტორისგან კრედიტის თავდაპირველად გაცემის თარიღიდან ანგარიშგების თარიღამდე. საკრედიტო რისკის კონცენტრაცია შეზღუდულია იმის გამო, რომ მომხმარებლის დიაპაზონი ფართოა და არადაკავშირებული.

შესაბამისად, დირექტორების აზრით დამატებითი კრედიტი არ მოითხოვება საექვო ვალების რეზერვის გადამეტებით

იხილეთ შენიშვნა **Error! Reference source not found.** იმ ვალუტებისთვის, რომელშიც ფული და საბანკო ნაშთები არის დენომინირებული .

9 ფულადი და საბანკო ნაშთები

ლარში	2017 წლის 31 დეკემბერს	2016 წლის 31 დეკემბერს
საბანკო ანგარიშები	2,104	16,089
შეზღუდული ფული	1,174,907	627,427
	<u>1,177,011</u>	<u>643,516</u>

10 სესხები და კრედიტები

ლარში	მიმდინარე		არამიმდინარე	
	2017 წლის 31 დეკემბერს	2016 წლის 31 დეკემბერს	2017 წლის 31 დეკემბერს	2016 წლის 31 დეკემბერს
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	3,832,730	3,670,714	-	-
არაუზრუნველყოფილი სესხები ფიზიკური მხარეებისგან და სხვა კომპანიებისგან	420,707	258,299	309,084	351,840
საბანკო ოვერდრაფტი	64,595	60,488	-	-
	<u>4,318,032</u>	<u>3,989,501</u>	<u>309,084</u>	<u>351,840</u>

საბანკო სესხების დაფარვის ვადა დგება 2017 წელს და წლიური საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 12%-ს (2016 წელს 12% წლიურად).

სესხები და სასესხო სახსრები არის უზრუნველყოფილი ძირითადი საშუალებებით და ნედლი მასალებით (იხილეთ შენიშვნები **Error! Reference source not found.** და **Error! Reference source not found.**).

საბანკო სესხები ასევე უზრუნველყოფილია ფიზიკური პირების მოძრავი და უძრავი ქონებით.

არამიმდინარე სესხების და სასესხო სახსრების სამართლიანი ღირებულებები მათი საბალანსო ღირებულების ტოლია, რადგან დისკონტირების ზემოქმედება არ არის მნიშვნელოვანი.

11 საიჯარო ვალდებულებები

კომპანიის მძიმე ტექნიკა, დანადგარები და საოფისე ფართი ფლობილია საიჯარო შეთანხმებების საფუძველზე. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივების გამოყენების უფლების წმინდა საბალანსო ღირებულება შეადგენს 905,140 ლარს (2016 წლის 31 დეკემბერს: 1,730,400 ლარი).

მომავალი მინიმალური ფინანსური იჯარის გადახდები თითოეული ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არის შემდეგი:

ლარში	მინიმალური საიჯარო გადახდები	
	2017 წლის 31 დეკემბერს	2016 წლის 31 დეკემბერს
ერთი წლის განმავლობაში		
იჯარის გადახდები	315,454	318,940
ფინანსური ხარჯები	(77,120)	(35,457)
	<u>238,334</u>	<u>283,483</u>
მეორედ მეხუთე წელს		
იჯარის გადახდები	615,241	319,705
ფინანსური ხარჯები	(82,005)	(86,058)
	<u>533,236</u>	<u>233,647</u>
ხუთი წლის განმავლობაში		

იჯარის გადახდები	-	27,807
ფინანსური ხარჯები	-	(745)
	-	27,062
წმინდა მიმდინარე ღირებულება	771,570	544,193

იჯარის ხელშეკრულება მძიმე ტექნიკასთან, მანქანა - დანადგარებთან დაკავშირებით მოიცავს ფიქსირებულ საიჯარო გადახდებს და შესყიდვის ოფციონს 2 წლიანი საიჯარო ვადის ბოლოს.

12 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

ლარში	As of 31 December 2017	As of 31 December 2016
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	10,307,887	12,358,264
საკონტრაქტო ვალდებულება	336,749	331,042
სამშენებლო საკონტრაქტო სამუშაოებისთვის მიღებული ავანსები	20,243,123	17,507,918
გადასახდელები თანამშრომლებისთვის	2,531,786	3,067,054
საკონტრაქტო ვალდებულებების რეზერვი	1,481,609	1,063,014
სხვაა	341,092	358,097
	35,242,246	34,685,389

საშუალო საკრედიტო პერიოდი კონკრეტული საქონლის შესყიდვაზე შეადგენს 90 დღეს (2016 წელს: 50 დღე). არანაირი პროცენტი არ ერიცხება კრედიტორულ დავალიანებებზე. კომპანიას აქვს ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ყველა დავალიანება გადახდილია საკრედიტო ვადებში.

მიღებული ავანსები წარმოადგენს სამშენებლო კონტრაქტებისთვის მიღებულ ავანსებს. კომპანია არ ახდენს მიღებული ავანსების ჩათვლას სამშენებლო დავალიანებებში იმ ფაქტის გამო, რომ ავანსები მიღებულია. სამშენებლო კონტრაქტების კონკრეტული ქვე-სამუშაოებისთვის და ავანსების შეთანხმებული ვადისთვის არსებობს ამორტიზაცია.

13 შემოსავალი

ლარში	2017 წლის 31 დეკემბერს	2016 წლის 31 დეკემბერს
სამშენებლო კონტრაქტის შემოსავალი	47,772,368	42,263,183
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	247,422	308,544
	48,019,790	42,571,727

14 რეალიზაციის ხარჯი

ლარში	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
სამშენებლო კონტრაქტის რეალიზაციის ხარჯი	44,732,008	39,942,243
საქონლის რეალიზაციიდან გაყიდვების ხარჯი	288,865	194,855
	45,020,873	40,137,098

სამშენებლო კონტრაქტის რეალიზაციის ღირებულება:

მასალების ხარჯი	27,301,082	20,181,744
მომსახურების ხარჯი	9,586,927	10,353,668
სახელფასო და დაკავშირებული ხარჯები	7,058,426	8,586,873
გაუფასურების ხარჯი	237,118	384,411
მოსალოდნელი საგარანტიო ხარჯების რეზერვი	418,595	124,958
საბანკო გარანტიის ხარჯი	114,510	199,847
მშენებლობასთან დაკავშირებული მივლინებები	15,350	62,966
სხვა	-	47,776
	<u>44,732,008</u>	<u>39,942,243</u>

15 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარში	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
სახელფასო და დაკავშირებული ხარჯები	2,437,172	2,678,957
უიმედო ვალების ხარჯები	17,196	285,300
მომსახურების ხარჯები	293,528	275,784
საავტომობილო ხარჯები	409,812	364,337
საგადასახადო ჯარიმები	319	181,136
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	194,694	198,285
საბანკო გარანტია	1,454	12,718
საწვავი	181,844	134,354
სადაზღვევო ხარჯები	65,684	49,921
საწევრო მოსაკრებელი	47,048	42,827
კომუნალური მომსახურებები	28,123	32,874
ტრანსპორტირების ხარჯი	5,196	44,512
კომუნიკაცია	45,621	28,293
საბანკო ხარჯები	70,624	38,482
სხვა	316,198	89,082
	<u>4,114,513</u>	<u>4,456,862</u>

16 ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

ლარში	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საპროცენტო შემოსავალი სესხებზე დაკავშირებულ მხარეებზე	2,141,075	1,601,607
სულ ფინანსური შემოსავალი	<u>2,141,075</u>	<u>1,601,607</u>
საპროცენტო ხარჯები საბანკო სესხებზე	492,573	330,690
საპროცენტო ხარჯები ფიზიკური პირებიდან და სხვა კომპანიებიდან	99,211	60,119
საპროცენტო ხარჯები ფინანსური იჯარის ვალდებულებებზე	50,479	110,005
სულ ფინანსური ხარჯები	<u>642,263</u>	<u>500,814</u>

Net finance income/(costs)

1,498,812

1,100,793

17 მოგების გადასახადის (ხარჯი)/ანაზღაურება

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლის შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან, კომპანიები გადაუხდიან კორპორატიულ მოგების გადასახადს მოგების განაწილებაზე (დივიდენდები) ფიზიკურ პირებს და კონკრეტულ ტრანზაქციებზე, რომელიც შესაძლოა ჩაითვალოს მოგების არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები და ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობებთან და სხვა)..

კორპორატიული მოგების დაბეგვრის შესწორებული კონცეფციის შესაბამისად, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს შორის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და საგადასახადო ბაზებში. აქედან გამომდინარე გადავადებული მოგების გადასახადები არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებებში 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შემდეგ.

2017 წელს კორპორატიული მოგების გადასახადი ძირითადად უკავშირდება ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებს წლის განმავლობაში, რომელიც დაბეგრილია გაცემის დროს და გადასახადი ანაზღაურებადია სესხის დაბრუნების დროს.

18 შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდეგ ისეთი შემთხვევა არ დამდგარა, რომელიც მოითხოვს დამატებით კორექტირებებს ან გამჟღავნებებს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში.

19 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მოსაზრებები

შეფასებები და მოსაზრებები მუდმივად ფასდება და ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალ მოვლენებს, რომელიც შეესაბამება არსებულ გარემოებებს.

19.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია შეფასებებს და დაშვებებს აკეთებს მომავლის ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული ბუღალტრული შეფასებები შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალური შედეგებისგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირების საჭიროების მნიშვნელოვან რისკს, განხილულია ქვემოთ

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო გამოყენების ვადები არსებითად არ განსხვავდება აღნიშნული აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ვადებისგან. თუ ძირითადი საშუალებების ფაქტობრივი სასარგებლო გამოყენების ვადები განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავებული იყოს.

დაკავშირებული მხარის გარიგებების თავდაპირველი აღიარება

საქმიანობის ჩვეულებრივ პროცესში კომპანია აფორმებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებების საფუძველზე. დაშვებები გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის არის თუ არა გარიგებები შეფასებული საბაზრო ან არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებად, როდესაც არ არსებობს ასეთი გარიგებების აქტიური ბაზარი. მოსაზრებების საფუძველი არის დაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის გარიგებების ფასი დადგენა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი. დაკავშირებული მხარის ბალანსი წარმოდგენილია შენიშვნაში **Error! Reference source not found..**

საექვო ვალების რეზერვი.

კომპანია ქმნის საექვო ვალების რეზერვებს, შეფასებული ზარალისთვის, რომელიც წარმოიშობა იმის გამო, რომ მომხმარებლებს არ აქვთ საჭირო გადახდების განხორციელების უნარი ან მომწოდებლებს არ შეუძლიათ შეთანხმებული პროდუქტების ან მომსახურების მოწოდება. საექვო ვალების რეზერვის ადეკვატურობის შეფასებისას, ხელმძღვანელობა თავის შეფასებას აფუძნებს მიმდინარე საერთო ეკონომიკურ პირობებზე, დავალიანებების ხანდაზმულობაზე და წინასწარი გადახდების ბალანსებზე, ჩამოწერის მიღებულ პრაქტიკაზე, მომხმარებლის და მომწოდებლის კრედიტუნარიანობაზე და ცვლილებებზე გადახდის პირობებში. ცვლილებებმა ეკონომიკაში, მრეწველობაში ან კონკრეტული კლიენტის და მომწოდებლის პირობებში შესაძლოა მოითხოვოს კორექტირებები უიმედო ვალების რეზერვებში, რომლებიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებებში.

დასრულების ეტაპის გამოთვლა

კომპანია აღიარებს სამშენებლო შემოსავლებს ფასს 15-ის - სამშენებლო კონტრაქტები - შესაბამისად, თითოეული სამშენებლო კონტრაქტისთვის სამუშაოს მოსალოდნელი დანახარჯის წილის გაწეული ხარჯის განსაზღვრის საფუძველზე. ხელმძღვანელობა აფასებს კონტრაქტის დასრულების ეტაპს ანგარიშგების თარიღისთვის გაწეული ხარჯების და მთლიანი კონტრაქტისთვის დასასრულებელი სამუშაოს მოსალოდნელი ხარჯის შეფასებით.

19.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

არსებობის პერსპექტივასთან დაკავშირებული მოსაზრებები

ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას, ხელმძღვანელობა აფასებს კომპანიის უნარს გააგრძელოს უწყვეტი ფუნქციონირება და იყენებს უწყვეტი ფუნქციონირების საფუძველს აღრიცხვისას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ხელმძღვანელობა გადაწყვეტს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას ან მოცემულის გარდა სხვა რეალური ალტერნატივა არ გააჩნია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ასახავს, რომ კომპანიის აკუმულირებული მოგება მუმიდვად მცირდება ანგარიშგების პერიოდებში და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შეადგენს 234,738 ლარს, რომელიც კომპანიის საქმიანობების მასშტაბების გათვალისწინებით, საკმაოდ დაბალია. გარდა ამისა, კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ ხელფასების სახით, რომელიც პერსონალის წლიური ხარჯის დაახლოებით 27%-ს შეადგენს, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას აქვს 3 თვის სახელფასო დავალიანება თანამშრომლების მიმართ. ეს წარმოშობს ეჭვს, რომ კომპანია შეძლებს საქმიანობის გაგრძელებას მომავალში. თუმცა, კომპანიის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ კომპანია გააგრძელებს ოპერაციებს საქმიანობების მნიშვნელოვანი შემცირების გარეშე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს წარსულ გამოცდილებას და კომპანიის საქმიანობის სპეციფიკას. ხელმძღვანელობა ასევე

თვლის, რომ კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი მოცულობის გაცემული სესხები დაკავშირებულ მხარეებზე, რომელიც შეიძლება ამოღებულ იქნას საკონტრაქტო ვადის დადგომამდე, საგანგებო გარემოების წარმოშობის შემთხვევაში. ხელმძღვანელობამ კონკრეტულად მოიპოვა წერილობითი დადასტურებები აღნიშნული დაკავშირებული მხარეებისგან აღნიშნულ სესხებთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა ასევე ითვალისწინებს ფაქტობრივ გარემოებებს საბალანსო ანგარიშგების თარიღის შემდეგ, რომელიც მიუთითებს, რომ კომპანია აგრძელებს საქმიანობას მნიშვნელოვანი შემცირების გარეშე. კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს აქტივების და ვალდებულებების ანგარიშსწორებას საქმიანობის ჩვეულებრივ პროცესში.

20 ფინანსური ინსტრუმენტები

20.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და მიღებული მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და საფუძველი, რომელზეც ხდება შემოსავლის და ხარჯის აღიარება, თითოეული კლასის ფინანსური აქტივის, ფინანსური ვალდებულების და წილობრივი ინსტრუმენტის შესაბამისად წარმოდგენილია შენიშვნაში **Error! Reference source not found..**

20.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებები შემდეგი კატეგორიის აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით:

ფინანსური აქტივები ლარში	2017 წლის 31 დეკემბერს	2016 წლის 31 დეკემბერს
სესხები და დებიტორული დავალიანებები:		
გაცემული სესხები	17,163,918	13,532,240
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	10,521,853	9,617,943
ფულადი და საბანკო ნაშთები	1,177,011	643,516
	<u>28,862,782</u>	<u>23,793,699</u>
ფინანსური ვალდებულებები ლარში	As of 31 December 2017	As of 31 December 2016
ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები:		
ფინანსური იჯარით გათვალისწინებული ვალდებულებები	771,570	544,193
სესხები და კრედიტები	4,627,116	4,341,341
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	10,307,887	12,358,264
	<u>15,706,573</u>	<u>17,243,798</u>

21 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. მთავარი რისკებია საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია აქტიურად არ არის ჩართული ფინანსური აქტივების ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნით და არ ადგენს ოფციონებს. მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები კომპანიისთვის აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი როგორც საოპერაციო ასევე საინვესტიციო საქმიანობებიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

The კომპანია ზოგიერთ ტრანზაქციას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე წარმოიქმნება საკუროს სხვაობების რისკი.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. გაცვლითი კურსის რისკები წარმოიქმნება კომპანიის საგარეო ვაჭრობის შედეგად, რომელიც ძირითადად დენომინირებულია აშშ დოლარში და ევრო. კომპანიას ასევე აქვს სესხები აშშ დოლარში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომელიც კომპანიას უქმნის სავალუტო რისკს, წარმოდგენილია ქვემოთ. მითითებული თანხები, რომელიც წარედგინა უმაღლეს ხელმძღვანელობას, გადაყვანილია ლარში ანგარიშგების დღეს მოქმედი კურსით.

ერთეული

2017 წლის 31 დეკემბერს

აშშ დოლარი

ფინანსური აქტივები

ფულადი და საბანკო ნაშთები

-

-

ფინანსური ვალდებულებები

სესხები და კრედიტები

965,949

ფინანსური იჯარით გათვალისწინებული ვალდებულებები

637,363

1,603,312

წმინდა პოზიცია

(1,603,312)

ერთეული

2016 წლის 31 დეკემბერს

აშშ დოლარი

ფინანსური აქტივები

ფულადი და საბანკო ნაშთები

1,505

1,505

ფინანსური ვალდებულებები

სესხები და კრედიტები

640,123

ფინანსური იჯარით გათვალისწინებული ვალდებულებები

152,588

792,711

წმინდა პოზიცია

(791,206)

ქვემოთ ცხრილში ასახულია დოლარის მიმართ ლარის 10%-იანი კლება/მატების (2016 წელს 10%) გავლენა კომპანიაზე. 10% (2016: 10%) არის ხელმძღვანელობის მიერ

შეფასებული სავარაუდო ცვლილება გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ფულად ერთეულებს და ახდენს მათ კორექტირებას წლის ბოლოს 10%-იანი (2016: 10%) კურსით.

ლარი რომ გამყარებულიყო დოლარსა და ევროსთან მიმართებით 10%-ით (2016: 10%) მაშინ ეს მოახდენდა შემდეგ გავლენას:

:

ლარში

მოგება ან ზარალი

აშშ დოლარის გავლენა	
2017	2016
160,331	79,121
160,331	79,121

სავალუტო კურსის სხვა რისკები იცვლება წლის განმავლობაში, რაც დამოკიდებულია უცხოურ ტრანზაქციების მოცულობაზე. მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული ანალიზი წარმოადგენს კომპანიის სავალუტო რისკის პოზიციას..

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან სესხებს იღებს როგორც ფიქსირებული, ასევე მცურავი განაკვეთით. აღნიშნულ რისკს კომპანია მართავს შესაბამისი ფიქსირებული და მცურავი საპროცენტო განაკვეთის სესხების შერევით. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია საშუალო საკონტრაქტო და ეფექტური საპროცენტო განაკვეთები:

2017

ვალდებულებები

სესხები და კრედიტები

ლარი

აშშ დოლარი

საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
კონტრაქტი	ეფექტური
15%	15%
10%	10%

2016

ვალდებულებები

სესხები და კრედიტები

ლარი

აშშ დოლარი

საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
კონტრაქტი	ეფექტური
13%	13%
12%	12%

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს რისკს იმისა, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანიას მიაღებეს ფინანსური ზარალი. ამ რისკის ეფექტი კომპანიისთვის წარმოიშობა სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტებიდან, როგორიცაა დებიტორული დავალიანებები და ფულადი ნაშთები. მაქსიმალური საკრედიტო რისკი წარმოდგენილია შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებით:

ლარში

	2017 წლის 31 დეკემბერს	2016 წლის 31 დეკემბერს
ფინანსური აქტივები საბალანსო ღირებულებით		
გაცემული სესხები	17,163,918	13,532,240
დებიტორული დავალიანებები	10,521,853	9,617,943
საბანკო ნაშთები	1,177,011	643,516
	28,862,782	23,793,699

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს თავისი ვალდებულებების დაფარვას.

კომპანიის პოლიტიკა არის ლიკვიდურობის მართვის ფრთხილი პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს საკმარისი ფულის და საბანკო ნაშთების ფლობას, ასევე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

ქვემოთ ცხრილი დეტალურად ასახავს კომპანიის არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების დაფარვამდე დარჩენილ ვადებს, შეთანხმებული დაფარვის პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, დაფუძნებული იმ უახლოეს თარიღზე, როდესაც კომპანიის მიმართ შესაძლოა მოთხოვნილ იქნას აღნიშნული დავალიანების გადახდა. ცხრილი შეიცავს, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2017

	უპროცენტო	ფინანსური ოჯარის ვალდებულება	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (%)		10.34%	12%	
6 თვეზე ნაკლები	10,307,887	149,263	1,293,743	11,750,893
6 თვიდან 1 წლამდე	-	166,191	2,974,327	3,140,518
1-5 წელი	-	615,241	371,194	986,435
5 წელზე მეტი	-	-	-	-
	10,307,887	930,695	4,639,264	15,877,846

2016

	უპროცენტო	ფინანსური ოჯარის ვალდებულება	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (%)		10.34%	12%	
6 თვეზე ნაკლები	12,358,264	226,878	417,761	13,002,903
6 თვიდან 1 წლამდე	-	92,062	859,695	951,757
1-5 წელი	-	333,696	3,506,686	3,840,382
5 წელზე მეტი	-	13,816	-	13,816

12,358,264	666,452	4,784,142	17,808,858
------------	---------	-----------	------------

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებიდან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი რესურსების და დებიტორული დავალიანებების შეფასებისა და მართვაში.

22 სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანია ახდენს თავისი აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს, რომელიც შეფასებულია თავდაპირველი აღიარების შემდეგ სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1 დონიდან 3 დონემდე, აღნიშნული დონეები განმარტებულია ქვემოთ.

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება მიღებულია კოტირებული ფასებიდან (არაკორექტირებული) აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება მიღებულია მონაცემებიდან, მხოლოდ არა კოტირებული ფასებიდან, რომელიც შედის დონე 1-ში აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის, პირდაპირ (ე.ი, ფასები) ან არაპირდაპირ (ე.ი. წარმოებულია ფასებიდან); და
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება მიღებულია შეფასების მეთოდებით, რომელიც მოიცავს მონაცემებს აქტივებთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებით, რომელიც არ ეფუძნება არსებულ საბაზრო მონაცემებს.

22.1 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, რომელთან დაკავშირებით წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულება.

ბანკის საბალანსო ღირებულება და ინდივიდუალური სესხები ითვლება სამართლიანი ღირებულების მიახლოებულ ოდენობად

23 კაპიტალის რისკის მართვა

The

კომპანია მართავს თავის კაპიტალს იმისათვის, რომ შეძლოს უწყვეტი ფუნქციონირება და ადეკვატური შემოსავალი უზრუნველყოს აქციონერებისთვის.

კომპანიის კაპიტალსი სტრუქტურა შედგება აკუმულირებული მოგებისა და ვალისგან, რომელიც მოიცავს **Error! Reference source not found.** და **Error! Reference source not found.** შენიშვნებში მითითებულ სესხებს..

ხელმძღვანელობა აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნებს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს გადაჭარბებული ლევერეჯი. ეს ითვალისწინებს კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეებს. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახორციელებს ცვლილებებს მასში ეკონომიკური პირობებისა და ძირითადი აქტივების რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან ცვლილების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა მოახდინოს აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდების რაოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

თანხები, რომელსაც კომპანია მართავს, როგორც კაპიტალს ანგარიშგების პერიოდში, შეჯამებულია შემდეგი სახით;

ლარში	2017 წლის 31 დეკემბერს	2016 წლის 31 დეკემბერს
მთლიანი კაპიტალი	234,738	1,596,146
მინუს: ფულადი და საბანკო ნაშთები	(1,177,011)	(643,516)
კაპიტალი	(942,273)	952,630
მთლიანი კაპიტალი	234,738	1,596,146
სესხები	4,627,116	4,341,341
ფინანსური იჯარებით გათვალისწინებული ვალდებულებები	771,570	544,193
საერთო დაფინანსება	5,633,424	6,481,680
კაპიტალის თანაფარდობა საერთო დაფინანსებასთან	-0.17	0.15

24 გაუთვალისწინებელი გარემოებები

24.1 ბიზნეს გარემო

საქართველოში კვლავ მიმდინარეობს პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები. როგორც განვითარებადი ქვეყანა საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნესს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რაც ზოგადად დამახასიათებელია უფრო განვითარებული თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისთვის. გარდა ამისა, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შესაძლოა არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. ეკონომიკის განვითარების მთავარი სირთულე არის ეკონომიკური და ინსტიტუციური განვითარების დაბალი დონე, ცენტრალიზებულ ეკონომიკურ ბაზასთან, რეგიონულ არამდგრადობასა და საერთაშორისო ეკონომიკურ კრიზისთან ერთად.

იმ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, რომლებიც თანამშრომლობენ საქართველოსთან, იწვევს საზღვარგარეთიდან ფულადი ტრანზაქციების ნაკლებობას, რაზეც საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული. ეროვნული ვალუტის შემდგომი გაუფასურება იწვევს იმპორტირებული საქონლის ფასების ზრდას. გაურკვეველობებმა, რომლებიც გამოწვეულია პირდაპირი კაპიტალური ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებთან და ინფლაციამ შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკური და კომპანიის მდგომარეობის გაუარესება. თუმცა, ვინაიდან აღნიშნულ გაურკვეველობებში არსებობს უამრავი ფაქტორები და დაშვებები, ხელმძღვანელობას არ

შეუძლია იმ თანხების სარწმუნოდ შეფასება, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე. კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ არსებულ პირობებში ხორციელდება შესაბამისი ზომები კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

24.2 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირად ცვალებადი კანონმდებლობით, რომელიც ძირითადად განმარტებების საგანია. ხშირ შემთხვევაში განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოებს და იურისდიქციებს შორის. გადასახადები ექვემდებარება გადახედვას და კვლევას საგადასახადო ორგანოების მიერ, რომლებიც კანონით უფლებამოსილნი არიან დააწესონ მკაცრი ჯარიმები და საურავები.

ასეთმა ფაქტებმა შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში გაცილებით მეტი მოცულობით, ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ადეკვატურად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს საგადასახადო კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, რელევანტურ ორგანოებს შესაძლოა სხვა ინტერპრეტაციები ჰქონდეთ და ეფექტები მნიშვნელოვანი იყოს.

24.3 ეკოლოგიური საკითხები

ხელმძღვანელობის აზრით, კომპანიამ დააკმაყოფილა მთავრობის მოთხოვნები ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით და აქედან გამომდინარე მიიჩნევს, რომ კომპანიას არ აქვს არანაირი მიმდინარე პასუხისმგებლობა გარემოს დაცვის სფეროში კანონმდებლობის დარღვევაზე. თუმცა, საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა განვითარების პროცესშია და პოტენციურმა ცვლილებებმა კანონმდებლობაში და მის ინტერპრეტაციაში შესაძლოა გამოიწვიოს არსებული არსებითი ვალდებულებები მომავალში

25 ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის, ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და მოკლევადიან ინვესტიციებს 3 თვეზე ნაკლები გადახდის ვადით, გადაუხდელი საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით. ფული და ბანკის ბალანსები ფინანსური წლის ბოლოს, რომელიც ასახულია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში, შესაძლოა შეთანხმებულ იქნას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მითითებულ ერთეულებთან შემდეგი სახით:

ლარში	2017 წლის 31 დეკემბერს	2016 წლის 31 დეკემბერს
ფულადი და საბანკო ნაშთები	2,104	16,089
შეზღუდული ფული	1,174,907	627,427
საბანკო ოვერდრაფტი	(64,595)	(60,486)
	<u>1,112,416</u>	<u>583,030</u>

26 ფინანსური საქმიანობებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შესაბამისობა

ცვლილებები კომპანიის ვალდებულებებში, რომელიც წარმოიშობა ფინანსური საქმიანობებიდან, შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

ლარში	გრძელვადიანი სესხები	მოკლევადიანი სესხები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
2017 წლის 1 იანვარს	351,840	3,989,501	544,193	4,885,534
ფულადი ნაკადები				
განმეორებით გადახდები	-	(1,593,966)	(452,476)	(2,046,442)
შემოსავლები	65,000	1,285,189	-	1,350,189
არაფულადი				
შემოსავლები	-	-	889,156	889,156
დარიცხული პროცენტი	76,835	512,624	50,479	639,938
საკურსო მოგება/ზარალი	-	(59,907)	-	(59,907)
რეკლასიფიკაცია	(184,591)	184,591	(259,782)	(259,782)
2017 წლის 31 დეკემბერს	309,084	4,318,032	771,570	5,398,686

27 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ მისი მფლობელები, ძირითადი ხელმძღვანელობა და სხვები, როგორც აღწერილია ქვემოთ.

27.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიას აკონტროლებს გოგი გულორდავა, რომელიც ფლობს კომპანიის აქციების 75%-ს..

27.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან და ანგარიშგების თარიღისთვის შემდეგი დავალიანების ნაშთები..

ლარში	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
გარიგებები		
მფლობელები		
გაცემული სესხები	4,642,770	7,379,457
დაფარული სესხები	2,267,995	2,359,303
საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა	1,898,193	1,237,439
საერთო კონტროლის ქვეშ არსებული საწარმოები		
გაცემული სესხები	18,632	209,000
დაფარული სესხები	898,700	505,500
საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა	238,929	364,168
საქონლის და ნედლი ამსალის შემენა	131,148	132,369

მომსახურებების შეძენა	15,941	9,755
შემოსავლები მომსახურებებიდან	5,025,424	-

ლარში		
დავალიანების ნაშთები	2017 წლის 31 დეკემბრის	2016 წლის 31 დეკემბრის
მფლობელები		
გაცემული სესხები*	15,705,345	11,432,378
სავაჭრო და დებიტორული დავალიანებები	1,361	60,236
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	(42,290)	(16,405)
ფინანსური იჯარებით გათვალისწინებული ვალდებულებები	(203,812)	(228,369)
	<u>15,460,604</u>	<u>11,247,840</u>
საერთო კონტროლის ქვეშ არსებული საწარმოები		
გაცემული სესხები	1,458,573	2,099,862
სავაჭრო და დებიტორული დავალიანებები	6,266,613	1,810,939
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	(511,199)	(2,400,743)
	<u>7,213,987</u>	<u>1,510,058</u>

* - დავალიანების ნაშთი 15,705,345 ლარი (2016: 11,432,378 ლარი) მითითებული „გაცემულ სესხებში“ წარმოადგენს კომპანიის მფლობელისთვის და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისთვის, ბ-ნი გოგი გულორდავასთვის გაცემული სესხების აკუმულირებულ ნაშთებს. 2017 წლის განმავლობაში მან აიღო სესხები, რომელიც მთლიანად შეადგენს 4,642,770 ლარს (2016: 7,379,457 ლარი) და დაუბრუნა კომპანიას 2,267,995 ლარი (2016: 625,708 ლარი). სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 20%-ს. სესხს არ აქვს განსაზღვრული დაფარვის განრიგი, თანხები გაცემული და მიღებულია მფლობელის საჭიროებების და კომპანიაში არსებული ფულადი რესურსების ხელმისაწვდომობის და საფუძველზე. ხელმძღვანელობა თვლის, რომ სესხი არ არის გაუფასურებული, რადგან მსესხებელი საბოლოოდ სრულად დაფარავს დავალიანების თანხას.

27.3 გარიგებები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურება, რომელიც შეტანილია ხელფასებში, მოცემულია ქვემოთ.

ლარში	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ხელფასები და ბონუსები	541,582	504,950
	<u>541,582</u>	<u>504,950</u>

28 შედარებითი ფინანსური ანგარიშგებების ხელახლა ფორმულირება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგებების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობამ დაადგინა შეცდომები შედარებით ინფორმაციაში მარაგების შეფასებასთან დაკავშირებით 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და თავიდან მიუთითა აღნიშნული ინფორმაცია შეცდომის გამოსწორების მიზნით. ასევე ხელმძღვანელობამ განახორციელა წინა არასწორად კალსიფიცირებული ერთეულების რეკლასიფიკაცია.

ქვემოთ ცხრილში შეჯამებულია 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მოგება-ზარალის და სხვა სრული შმეოსავლის ანგარიშგებაში განხორციელებული კორექტირებები, ხელახლა ფორმულირების და წარმოდგენის შედეგად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარში

31 დეკემბერი 2016

	მანამდე აღრიცხული	კორექტირებები / რეკლასიფიკაციები	ხელახლა ფორმულირებული / რეკლასიფიცირებული
მარაგები	14,925,043	(4,519,356)	10,405,687
საერთო ზემოქმედება მთლიან აქტივებზე	14,925,043	(4,519,356)	10,405,687
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	34,947,488	(262,099)	34,685,389
საერთო ზემოქმედება მთლიან ვალდებულებებზე	34,947,488	(262,099)	34,685,389
აკუმულირებული მოგება	5,853,403	(4,257,257)	1,596,146
საერთო ზემოქმედება კაპიტალზე	5,853,403	(4,257,257)	1,596,146

მოგება-ზარალის ანგარიშგება

ლარში

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	მანამდე აღრიცხული	კორექტირებები / რეკლასიფიკაციები	ხელახლა ფორმულირებული / რეკლასიფიცირებული
გაყიდვების ხარჯი	(40,409,553)	272,455	(40,137,098)
სხვა შემოსავალი	(36,030)	36,030	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(4,420,832)	(36,030)	(4,456,862)
მარაგების გაუფასურება	-	(1,405,015)	(1,405,015)
პერიოდზე ზემოქმედების შედეგი	(44,866,415)	(1,132,560)	(45,998,975)